

ბ. მუსეუმის გაცემის მოადგინებელი  
BULLETIN DU MUSÉE DE GÉORGIE

ცალკე ამონაბეჭდი

საქართველო  
სახალხო კომისარიატი

1596  
1931

ნ. 8049060780ლ.0.

მოხატის საბუთი XI საუკუნისა.



გამოცემა 1931 წლის იანვრის 10-ს

ტფილისი

—  
1931



ଓଡ଼ିଆରେ  
ଶବ୍ଦାଳ୍ପନିକା

ବ. ବ. ର. ଏ ଜୀଲ୍ଲାଗର୍ଜାଫ୍ରେଣ୍ଟର୍‌ସିଲି 1-ଲାଙ୍କ କ୍ଲାବିହା。  
କୁରୁତୀ—୫୦ ପାଲୋ, ଭୁବନେଶ୍ୱର, ମୋହନିଲୁହ ।

ე. ბერძნიშვილი.

## მცხეთის საბუთი XI საუკუნისა.

წინამდებარე საბუთი ქანთული დიპლომატიკის ერთერთი უძველესი ძეგლია<sup>1</sup>. სამწუხაროდ, მისი დედანი დალუპულია და ჩევნ ხელთა გვაქვს ამ ძეგლის ორი სხვადასხვა დროის პირი<sup>2</sup>. ეს ძეგლი სამკურ არის გამოცემული პროფ. დ. ჩუბინა შეიღისა და თ. ეორდანიას მიერ<sup>3</sup>. გარდა ამისა ის, როგორც ეს თ. ეორდანია-მაც აღნიშნა, ნაწილობრივ შეტანილია მ. ბროსეს მიერ გამოცემულ თემურაზისეულ „ქართლის ცხოვრებაში“<sup>4</sup>. რა თქმა უნდა, უკანასკნელ გარემოებას ამ ძეგლის გამოცემისთვის არა აქვს რა საერთო, მაგრამ ჩევნი მიზნებისათვის ის მაინც საინტერესოა; საშუალება გვეძლევა იქ შეტანილი აღვილები შევაღაროთ ჩევნამდის მოღწეულ პირთა სათანადო აღვილებს.

პროფ. დ. ჩუბინა შეიღის ძეგლი გამოუცია ერთ-ერთი ჩევნამდის მოღწეული პირის მიხედვით<sup>5</sup>.

თ. ეორდანიამ კი პირველად გამოსცა ის პროფ. დ. ჩუბინა-შეიღის გამოცემისა და „დ. ბაქრაძისაგან შემოქლებით თვით ნამდეილის გუჯრიდან... გადმიოწერილი პირი-ს მიხედვით“<sup>6</sup>.

რაც შეეხება თემურაზისეულ ქართლის ცხოვრებაში შეტანილ

<sup>1)</sup> ამაზედ უძველესია უXV საუკ. პირის<sup>7</sup> საპირ ჩევნამდის მოღწეული უფაველ სიკელი X საუკუნისა; ის. თ. ეორდანია, ისტ. საბ. შ.—შდ. მონ—ისა, გვ. 1—3.

<sup>2)</sup> ძეგლები დაცულია საჭ. ცენტრალურეგისტ. № 13 და № 14.

<sup>3)</sup> „ქართული ქრისტომატიკა... დაბეჭდილი დაცვით ჩუბინოვისაგან“ 1863 წ. სპარსი. გვ. 203 შდდ.

<sup>4)</sup> თ. ეორდანია, ქრისტენები..., წ. I, გვ. 182—188 და წ. II, გვ. 31—36.

<sup>5)</sup> „ქართლის ცხოვრება... გამოცემის დაწლილი უ. ბროსე, წევრისა სამშ. აქად. მეცნიერებათა, 1849 წ. გვ. გვ. 212—213, 218, 220, 221—222.

<sup>6)</sup> სახელფობრ № 14 საჭ. ცენტრალურეგისა.

<sup>7)</sup> ქრისტენები I, გვ. 181, შენიშვნა.

ადგილებს, ისინი, წინააღმდეგ თ. ქორდანის განცხადების უკანასკნელი დღეს უნდა იყოს არა „XII ს-ის ხელით“ გადაწერილი ჰეთულური ტექსტის მიერად იმ პირიდან, რომელსაც განსცენებული მცელეარი XVII ს-ში გადაწერილად აღიარებს<sup>1)</sup>.

არც ერთი აღნიშნული გამოცემა დამატაყოფილებლად არ შეიძლება ჩაითვალოს. პრ. დ. ჩუბინა შეიიღ ის გამოცემის სისუსტე, ჯერ კიდევ თ. ქორდანიამ სამართლიანად აღნიშნა და მისი შესწორება სცადა. სამწუხაროდ, ერც მან აცემინა თავიდან მრავალი რექსტრალური ხასიათის შეცომის<sup>2)</sup>, მაშინ როცა პირეელ გამოცემელთან შედარებით ის უკეთს პირობებში იყო: დ. ჩუბინა შეიიღ მა ძეგლი დაბეჭდა ერთი პირის მიხედვით, თ. ქორდანიას კი ორი პირი პერნდა ხელთ და იმდენადეე მეტი საშუალება პქონ და ძეგლის ქრიტიკულ გამოცემას ცდილიყო<sup>3)</sup>. არ ვიცით რა მოსაზრებით, და ვამსე. მცელეარმა „XVII საუკუნის“ პირს უპირატესობა მისცა „XII ს-ის ხელით“ გადაწერილ პირთან შედარებით და ის დაუდო საფუძლად ძეგლის მცენედ გამოცემას.

აღნიშნულ გამოცემათა ასეთი მდგომარეობა ჩვენ საჭმაო საუკელად მიეიჩნიეთ ძეგლის გამოცემის ხელახალი ცდისათვის. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, დღეს ჩვენს განკარგულებაშიც ამ სიგლის ორი სხვადასხვა დროის პირი. ასეთ პირობებში საჭიროა გამოირკვეს: ეს პირები ერთი მეორისაგან დამოუკიდებლივ არის წარმომდგარი, თუ უძელესი მათვინი დედანია უფრო ნაგვიანევისა? პირველ ზემოხვევაში ჩვენ თანაბრად სწორი გულისყრით უნდა შეგვესწავლა ორივე პირი და ასევე ორივეთი გვეხელმძღვანელა ძეგ-

1) ასეთი მოსაზრების საფუძლებს ითლეთ ზოგიერთი ადგილების იგივეობა „ქართლის ქორეგებაში“ და № 13 (379) პირში და მათი თანხმობლივი განსხვავება № 14 (378) პირის შესატყვის ადგილებიდან. მაგალითად: ქ-ცა—„მახაროვანი“, № 13 „მახაროვი“, № 14 „მახაროვი“; ქ-ცა—„მონასტერი დიფიცი ძალითა და ლაგოდეხი“, ასევე № 13 პირშიცა, ხოლო № 14 პირში abest და; ქ-ცა 222—„შესავალნი იყენეს“, № 13—ქალაქისა შესავალი იყო, № 14—ქალაქისა გასავალი იყო”; ქ-ცა 222—„ოფიცია სრულითა“, ასევე № 13 პირში, № 14 პირში კი—„ოფიცია სრულითა“. ქ-ცა 222—„მცხეთას სენაკი“, ასევე № 13 პირში, ხოლო № 14 პირში კი—„მცხეთის სენანი“. მოყვანილი შედარებანი, უფრო შემოხვევაში, იმისათვის საჭმარისი არიან, რომ განვაეცაროთ: ქ-ცა—ს ეს ადგილები № 631 პირთან უფრო აბლობა, კიდრე № 14—თან.

2) არამ გამბობ სხვადასხვა მოსაზრებათა მცხოვრიბაზე. ამაზე ქვემოთ.

3) რა თქმა უნდა, დ. ჩუბინაშეიღოს გამოცემასთან შედარებით თ. ქორდანიას გამოცემა, განსაკუთრებით მისი მცორე გამოცემა—დიდი ნაბიჯია წინ, მაგრამ თავის თავიდ ის დამატაყოფილებელი მაინც ეყრ არის.

ლის გამოცემისას, ხოლო მეორე შემთხვევაში საქმარისი კურნებულის გამოცემის დამყარება უძველეს მათვანზე.

რაც შეეხება ძველ გამოცემებს, ისინი ჩევნი ამოცანისათვის ყურადსალები არ არიან, რადგან, როგორც ვიცით, ეს გამოცემები ემყარება ჩევნს ხელთ არსებულ პირებს ან უალკ-უალკ (დ. ჩუბინიშვილის გამოცემა № 14-ს; ქართ. ცხოვრება № 13 პირს), ან ორივეს ერთად (თ. ეორ და ნიას მეორე გამოცემა).

ამრიგად, ჩევნს წინაშე უპირველეს ყოვლისა დგას საკითხი არსებული პირების ურთიერთ შორის დამოკიდებულებისა. როგორც ქვემოთ ტექსტის შენიშვნებიდან დავითხავთ, № 13 პირი საქმაოდ განსხვავდება № 14 პირისაგან, ასე რომ პირველი შთაბეჭდილებით მათ შორის დედან-პირის ურთიერთობის აღიარება ძნელია. თავი რომ დავიგებოთ ორთოგრაფულ განსხვავებულობას, ნაგვიანებ პირს უფრო აღრინდელთან შედარებით აკლია: სიტყვები („დამიტ“—118, „ოქროოთა“—10, „ხუცსი“—124, „ძლიერო“—135, „დაწერილი და“—137, „ტ შემოქმედა“—148), რიცხვის აღმნიშვნელი ასოები („ე“—51, „ჩ:“—48, „ლ:“—75), სიგლის განსაზღვრულ ნაწილებში დასმული ჯვრები ოთხწერტილით (სტ. 87, 147, 152, 166, 129, 135), წინადაღება („რ ლსა სახელი არს“ 60); ამავე დროს მეტი აქვს: სიტყვები („ძლდელი“ 154, „ტ“—73, „ტ“—144), წინადაღებანი („და შემოსწირა კათოლიკე კკლესიასა“—60, „უათა შინა ტ ქვეყანასა ზედა“—132). მაგრამ ამ თეოსებათაგან არც ერთი საკითხის გადამჭრელ საბუთად არ გამოდგება: ის, რაც ნაგვიანებ პირს აკლია ძელთან შედარებით, შეიძლება გადამჭრის უგულისყურობით აიხსნას; ანგარიშება-საწევი იქნებოდა მეორე ხასიათის განსხვავებანი (ე. ი. სიტყვა-წინა-დაღებათა შეტობა უფრო ნაგვიანებ პირში), რომ ისინი არსებოთი ხასიათისა იყვნენ: ზემოთ მოყვანილი ზედმეტი სიტყვები და წინა-დაღებანი ისეთი ხასიათისაა, რომ მათზე დამყარებით № 13 პირის წირმოშობილობის გადაწყვეტა შეუძლებელია და ეს მით უფრო, რომ არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრების სასარგებლო საბუთებიც.

მართლა-და, როგორი ხასიათისაა № 13 პირის ეს „ზედმეტი“ სიტყვები და წინადაღებანი კავშირი „ტ“ როგორც მე-73-ე სტრიქონში („ქრეთს მონასტერი დიდითა ძალითა და ლაგოდევი“), აგრეთვე 144/145 სტრიქონშიაც („მეცა კკრიკი შეფესა და დის-წულსა კკრიკე შეფისასა“) სტულიად უადგილოდ არის ჩამატებული; პირველ შემთხვევაში „ქრეთის მონასტერი დიდითა ძალითა“ უსახელოდ ჩემა, რაც ეწინააღმდეგება ძეგლის ხევრთო ხასიათს და შეუძლებელიყაა, ხოლო მეორე შემთხვევაში კავშირი „და“ ისევე

აღვილად შეიძლება ამოგდებულ იქმნეს, როგორც ჩაუსვამთ; ამით  
წინადადებას არაეთიარი ზიანი არ მოუვა, ხოლო მისი, უკანასკნელ  
უძველად მოიგებს; ასე რომ ეს კავშირი აქ სრულიად ზედმეტია.  
ასევე უწყინარ-ზედმეტია წინადადება: „და შემოსწირა კათოლიკე  
ეკლესიისა“, რომელსაც წინუძლვის: „ბერძენთა მეფემან ბასილი  
შიბოძა“; უკანასკნელი სრულიად საემაოდ გადმოსცემს მელქისედეკ  
ქ. კათოლიკების აზრს და საესებით ეთანაბმება სიგლის სხეა ანა-  
ლოგიურ ადგილებს (იხ. სტრიქონები: 8, 11, 52, 55). ხოლო სიგ-  
ლის კრულობით ნაწილში დართული წინადადება: „ცათა შინა ტ  
ქუცყანასა ზედა“ რომ შართლაც ზედმეტია, ამას დიდი დაევიტებაც  
არ უნდა: № 14-ით ეს ადგილი იყითხვის: „კრულმცა არის სულით  
ტ კორცით ორსავე ცხორებასა მისი გამრეცხელი“, რაც საემაო  
სრულსიტყვაობით დაატესს დამნაშავეს წყვების „ორსავე ცხორება-  
სა“ ე. ი. „ცათაშინა“-ც და „ქუცყანასა ზედა“-ც, ასე რომ მოყვანი-  
ლი წინადადების აქ ჩართვა მის უფიციონით გამეორებას პნიშნავს  
მხოლოდ.

ზედმეტია აგრეთვე „მლოდელი“ 154 სტრიქონში.

ეხლა განვიხილოთ სხეა ხასიათის განსხვავებანიც.

№ 14 პირით:

- სტ. 71 რა აზნაოროც
- „ 79 გასავალი
- „ 143 შედეგ-დ
- „ 148 ქლნ
- „ 148 დაეიქ-დრო
- „ 151 :ქპ:
- „ 159/160 ამის მ“(თი)
- სა ბრძნებლისა
- „ 162/163 (ლ)თ-ისა
- ს(იტყუი)თა, წ-დათა...

№ 13 პირით:

- რა: აზნაორი:
- შესავალი
- შემდგომად
- კუალად
- დაეიმჯუიფრო
- ქართლისა: პატრიარქსა:
- ამის მიერ საბრძანებელისა..
- ლ-თისა და მისთა წმინდათა..

როგორი ხასიათისაა ეს სხეაობანი? ჩენ ეიცით, რომ № 14  
ხელნაწერი თეთი არის პირი, ამიტომ გადაწერის ნიადაგზე წარმომ-  
დგარი შეცომებისგან არც ის არის დაზღვეული. ასეთი ხასიათის  
შეცომად მიგვაჩინა ჩენ № 14-ის გამოთქმა: „რა აზნაოროც“.  
უკანასკნელი სიტყვის ბოლოსართი „ომ“ გვიჩვენებს, რომ მას  
წინუძლოდა თავსართი „სა“. ამისვე მოითხოვს კონტექსტიც. პირ-  
იქით, სრულიად გაუგებარია: „კურბითს: რა: აზნაური: კარგი:  
სოფელი: ერთია“, როგორც ეს აღუდგენია № 13 პირს. № 14 პი-  
რის გადამწერის მექანიკური შეცომა შერმინდელ გადაწერს „გაუ-

სწორებია”, მაგრამ დაკვირვება არ ჰყოფნია და ორსებული „შემდეგისა“ მისათვის („სა“-ს შეგირად-„რა“) ახალი შეკოორმა დაუზურული დოკუმენტების გებარი „აზნაორია“ გაისავებ „აზნაორია“-დ გადაუკეთებით).

ასევე შეკოორმით გასწორებულად მიღვაჩნია ჩვენ „გასავალი“-ს „შესავალი“-თ შეცვლა. თუ მხედველობაში მიღიღებთ, რომ ამ გამოთქმას: „გასავალი იყო“ მოსდევს და ეთანხმება—„ამის ჭმილისა ქალაქისაგან“, ჩვენ ადეილად დაფრჩუნდებით, რომ აქ სწორედ „გასავალი“ უნდა იხსარებოდეს და მისი „შესავალ“-ად გასწორება (ალბათ 76 სტრიქონში გამოთქმულის ანალოგით), შეცოორმა და ჭინადადებას სრულად გაუკებას შედის, თუ, რა თქმა უნდა, სიტუა „შესავალი“ ძელი გაგებით იქნება ხმარებული. № 13 პირის გადამწერს ეს ცნებები, როგორც ჩანს, აწინდელი გაგებით ეს-მის. მხოლოდ ამ ნიიდაგზე ხდება გასავები ასეთი გასწორების აზრი.

ბატიკთა გახსნის უცოდინარობის ნიიდაგზეა წარმომდგარი „შემდგომად“ „შედეგ“-დ-ისაგან, „კულად“ „ქ“-ლნ“-საგან, „დავიმეუიდრო“ „დავ“-კდრო“-საგან (ქ“-პ-ს „ქართლისა პატრიაქ“—ად გახსნის სწორობა-უსწორობაზე ქვემოთ გვეძნება საუბარი).

ზემომოყვანილ განსხვავებათა ცხრილიდან ორი უკანასკნელი ჩეკნთვის განსაკუთრებით ძვირფასი და საყურადღებოა. ისინი მტკიცე საბუთს გვაძლევენ ეიფიქროთ, რომ № 13 პირი № 14 პირისაგან არის გადაწერილი.

გამოთქმა: „ამის მ“-(თი)სა ბრძნებლისა“ № 14 პირში დაზიანებულია: მეორე სიტუაციდან გადარჩენილია პირეელი ასო „მ“-ანი და ბოლო მარცვალი „სა“. სრულიად არ არის (ამოგლეჯილია) ი-ნი და „თ“-ანის ნახევარილა (ე. ი. წრე) გადარჩენილი. პატივის ნიშანი ზის „მ“-ანსა და მის მომდევნო ასოს ზემოდან. თუ კონტექსტშედ დაკვირვება არა, ასეთ შემთხვევაში დაფილია „მ“-ანი და „თ“-ანის ნაშთი მათ ზემოდან არსებული პატივით შრ-ად იკულისხმო, შემდგომი (ამოგლეჯილი) ასო „ი“-ნი არ არსებულად, ხოლო უკანასკნელი მარცვალი „სა“ შემდგომ სტრიქონშედ მოთავსებული „ბრ“-მნებლისა“-ს თავსართად აღიარო და მიღიღებ: „ამის მიერ საბრძანებელისა“. სწორედ ასე მოქცეულა № 13 პირის გადამწერი, რითაც თვალსაჩინო ნიშანი დაგვიტოვა იშისა, რომ მის დედანად ჰქონია № 14 ხელნაწერი და რომ უკანასკნელი აღნიშნულ ნაწილში ამ დროს შექვე დაზიანებული ყოფილა.

ასევე შეცოორმით აღუდევნია № 13 პირის გადამწერს № 14-ის დაზიანებული: „(ღ)“-თისა ს(იტუში)თა“ „ღ“-თისა ღ მისთა“-ს სახით, ამ გამოთქმაში „ღ“-ანი ამოგლეჯილია; „თისა“ გადარჩენილია პა-



ტიკით „თ“-ანზე; გადარჩენილია აგრეთვე მომდევნო „ს“-ანის ქადაგი ნაწილი, „უ“-ნის ბუნი და მისი მომდევნო „ი“-ნი. № 13 შეისრულებული დამწერს „ლ“-ანი სწორად აღუდევნია, „სიტყუითა“-ს პირველი ასოს გადარჩენილი ნაწილი „დ“-ონის ნაშთად მიუღია, შემდევი ჩაეცირვებით თავი აღარ შეუწებებია, „უ“-ნის გადარჩენილი ბუნი და მისი მომდევნო „ი“-ნი უგულვებელუფებია და დაზინებული სიტყვა შემდგომ სტრიქონზედ მისი დაბოლოების—„თა“-ს მიხედვით ორ სიტყვად აღუდევნია: „და მისითა“. გარდა მისია, რომ ასოების ნაშთები, როგორც ვთქვით, ასეთი აღდევნის უფლებას არ იძლევიან, ასეთი „შესწორებული“ ტექსტი უკვეულო და უხეიროა.. მაგრამ ჩვენ ამ უამიად სრულიად კვიმაყოფილდებით მხოლოდ მიით, რის წარმოშენაც, უფრისობთ, საქმიან საფუძვლიანობით შეეძლით: რომ № 13 ხელნაწერიდან № 14 ხელნაწერიდან. ცხადია ისიც, რომ ხსენებული აღვილი „დედანში“ ამ დროს უკვე დაზიანებული ყოფილა.

სწორედ ამ ნიადაგზევეა წარმომდგარი № 14 ხელნაწერის კიდევ ერთი დაზიანებული აღვილის (სტრიქ. 164) მცთარი აღდევნა № 13 პირის გადამწერის მიერ: „მისი, კრულმცა არს“. ასოთა ნაშთები ასეთი აღდევნის უფლებას არ იძლევიან.

ეხლა, მის შემდეგ რაც საკითხი ამ პირების ურთიერთ შორის დამოკიდებულებისა გადავწყვეტეთ, და ერთი მათგანი მცთარის დედნად აღვიარეთ, საქმარისია ჩვენი გამოცემა უმთავრესად სწორედ ამ „დედანში“ დავამყაროთ.

ხელნაწერი № 14 ქალალდზე დაწერილი საბუთია. თავი აკლია. (№ 13 პირის მიხედვით 15 სტრიქონი აქლია, რაც დაახლოვებით ჩვენი ხელნაწერის ოც სტრიქონს უდრის). კიდევები ჩიმოცურეცილი აქებ. ტექსტი აქ-იქ დაზიანებულია, უმთავრესად მარჯვენა მხრიდან. აქ ხშირად თითო და ზოგჯერ ორ-ორი ასო აკლია. დაზიანებას ვერ ასცდნია ტექსტის შუა აღვილებიც ქალალდის ვაცრეცის გამომთელი სიგელი გადაწებოებულია სქელ საფუნ ქალალდზე (ამ ქალალდის ჭვირ-ნიშანი ხელთაომანია)<sup>1)</sup>. საფუნ ქალალდზე შევსებულია ნაგვიანევი ხუცურით ტექსტის ის ნაკლული აღვილები, რომელიც სიგელს ამ ოპერაციის დროს (ე. ი. მისი საფუნ ქალალდზე დაწებოების დროს) ჰქონია.

ეს შევსებანი № 13 პირის მიხედვით არ არის შესრულებული: ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს პირი გადაწერილია № 14 ხელნაწერიდან

<sup>1)</sup> ამ ნიშნით ქალალდი XV ს-ეს ახასიათებს. ი. ლихачевის Պალеографია, значение бумажных водяных знаков—ч. I стр. 65.—69, 128—130.

მის შემდეგ, რაც უკანასკნელმა ისეთი დაზიანებანი განიცავა, მცირებული მცირებული დღესაც აღუდგენელია. მოხსენებული შევსებანი ჰქონდა მცირებული დღის დაზიანებებშედ უწინ არის შესრულებული, ვინაიდან წინა-აღმდეგ შემთხვევაში შემცირებული არც ამ აღგილებს დასტოუბდა და სხვების მსგავსი ამათაც აღადგენდა.

გარდა ამისა აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ შემცირებული ისეთ ასოებს ხმარობს, რომელთაც № 13 პირის გადაწერი სისტემატურად გაურბის. ასეთია ასოები: ვ, ა დ ც (იხ. სტროკონები 10, 16, 51).

რომ არსებული შევსებანი ზეპირად შესრულებული არ არის, ეს ჩანს იქიდან, რომ ზოგი შესწორებანი კონტექსტით აღდგენილი არ შეიძლება იყოს. ასეთია: „(სათანა)ოც“ — სტრიქ. 30/31; „(სულვა ჩანა) ზედა“ — სტრიქ. 91; „(მიწა)აჯ“ — სტრიქ. 93; „ვუ(ნაკი)“ — სტრიქ. 95; „გასარ(ომელი)“ — სტრიქ. 105.

როგორც აღვნიშვნთ, სიგელს თავი აქლია. № 13 პირი კი სრულია. ჩვენ ეხლა ვიცით, რომ ამ პირის დედანი № 14 ხელნაწერია. მაშ № 13 პირის გადაწერის დროს № 14 სიგელი ჯერ კიდევ თავნაკლული არ ყოფილა. ეს გადაწერა კი, როგორც ვიცით, შესრულებული იყო ამ სიგელის საუკი ქალალდნე გადაწებოების კარგა ხნის შემდეგ. ამრიგად, ეს დაზიანება (თავის მოხევა) შემთხვევია ხელნაწერს მისი საფეხ ქალალდნე დაწებოების შემდეგ.

არსებობს მესამე რიცის დაზიანებანიც. ეს — ტექსტის შიგნით, სიგლის საფეხ ქალალდნე დაწებოების შემდეგ და № 13 პირის გადაწერამდის. ეს დაზიანებანი „დედანში“ აღდგენილი არ არის (როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ვურც № 13 პირის გადაწერის აღუდენია ისინი სწორიად).

სიგელი სამი ერთი მეორეზე გადაწებოებული კეფისაგან შედგება. მეორე კეფი მესამეზე გადაწებოებულია სიგლის გადაწერამდის: მე-100-ე სტრიქონის ხაზსხედა ასოები (ზ, მ, დ, მ, რ, ნ, ს, ქ) თავიანთი ხაზსხედა ნაწილებით მეორე კეფზე, ხოლო ტანით (და ხაზსქვედა ნაწილით — ქ) მესამეზე არიან მოთავსებული. ესევე არ ითქმის პირველისა და მეორე კეფთა შესახებ. პირველი ჯერ დაწერილი და შემდეგ გადაწებოებული შეიძლება იყოს მეორეზე.

სიგლის სიგრძე — უდრის 182 სანტ., განი 21,5; საფენი ქალალდის სიგრძე — 186, განი — 24,5. ტექსტის სიგრძე — 177; განი — 20,2.

პირველი კეფის სიგრძე — 37 (როგორც ვიცით, ეს კეფი მხოლოდ ნაწილია მთელისა: თავი აკლია); მაზედ მოთავსებულია 30 სტრიქინი.

მეორე კეფის სიგრძე – 70; ზედ მოთავსებულია 69 სტატუსი, მესამე კეფის სიგრძე—78; ზედ მოთავსებულია 67 სტატუსი, მეგლი მოლიანად ერთი ხელითაა დაწერილი და გარევანი იქ-რითა და ნიშნებით XII საუკუნისა ჩანს. დამწერლობა წუსხურია. მელანი შავი. სიგლის ზოგიერთი ნაწილები მთავრული ასოებით იწყება (სტრიქონები: 87, 135, 147, 153, 139).

ჩვენი ძეგლის ენა „კლასიკურია“. რაიმე მნიშვნელოვან გარდა-ხვევებს ძეგლი ქართულის ნორმებიდან იქ იღილი არა აქვს. ამ მხრით გადამწერს დედნის სახე კარგიდ დაუცავს. ესევე არ ითქმის ძეგლის ორთოგრაფიის შესახებ. იქ დიდი მეტყობაა. ასეთი რომ, მის უდიდეს ნაწილში მაინც, პირმშო დედნის დამახასიათებლიდ ძნელია აღიარებულ იქმნას. ის უფრო გადამწერის შენაძენი შეიძლე-ბა იყოს. ვამბობთ „უფრო“, რადგან ჩვენ არ გვავიწყდება, რომ არც XI ს ის დამდეგის ორთოგრაფია არის ამ მხრით ურყოვი და ზოგი რამ ქვემოთ ნაჩვენები ჩვენს პირს, უძველია, დედნისეული უნდა გამოკვლოდეს.

ასო C. მთელს ძეგლში ამ ასოს ხმარების მხოლოდ ორი შემ-თხვევა გვაქვს: „მეტო“—სტრიქ. 146 და „კუპრუხის გოლი“—სტრიქ. 51; უკანასკნელ შემთხვევაში ც შეიძლება არც XII ს-ის პირისეულია: ის საფეხ ქალალდებ სწერია ნაგვიანევი ნუსხურით. როგორ უნდა ყოფილყო ეს ფორმები დედანში? რა თქმა უნდა ც მე-XII ს-ში არ გაქნილა და მისი ხმარება გაცილებით უფრო ძევს ძეგლებში გვხვდება, მაგრამ იქ წარმოდგენილი სახით ამ ასოს ხმარება, ვუი-ქრობთ, XII ს-ის პირისეულია. იმის იდასტურებს აქვე პარალელურია არსებული ფორმები: „კუერუხის გული“—სტრიქ. 56 და „მეფეო“—137. იმავე დროს არც ერთხელ „უ“ კომპლექსი არაა წარმოდგე-ნილი უპ-თი. იხ.: სუეტი, დაუსუნენ, ძეშხვემი, ძელად, ქუმომ-დენ და სხვ. ამიტომაც გამოყენაში ჩვენ ასო ც არ დაიკავით.

ო დ უ. არც ონისა დ უ-ნის ერთი მეორის მონაცემეობა არის განსაკუთრებული თეოსება ჩვენი ძეგლის გადამწერის დროისა. ეს მოვლენა იმაზე იღრუც გვხვდება. მაგრამ თუ უძველეს ძეგლებში მის სპორადული ხასიათი აქვს, იქ ის მეტად ხშირია. ჩვენ არ შეგვი-ძლია ვამტკიცოთ, რომ არც ერთ მათვანს პირმშო დედანში იღვი-ლი არ ჰქონდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ასეთი სიმრავლით ეს მოვლენა მხოლოდ პირის 1 დამახასიათებელია.

1) სწორედ ეს მოვლენა გვაქვს ჩვენ ერთერთ ნიშანად შილებული ტერიტორიაზე დამატებული განსაზღვრისას.

• გამოცემაში ჩვენ ამ მოელენას არ ვიცავთ და ძერლ სახურა, წერებულისა დაღვენთ.

შემთხვევები: აორაცხელი—7; დაოსუნე—8 (იქვე: დაუსუნე—6,3); ცორებოლი—27, 23 (იქვე: ცურვებული—13, 47, 49); საცუცხორნი—23, 24 (იქვე: საცუცხორნი—21, 22); ზაფხოლი 32; შეკაზმოლი, —ლნი—34, 57 (იქვე: შეკაზმული—20); ოქსინოვ 54, 56 (იქვე: უქსინოვ—50); გოლი—52 (იქვე: გული—56) ხატუანი—54; სუნდოსი—56, სუნდუსი 56; სხლუანი 64; აქოს 98, 133 (იქვე—აქუს—60); ხოთითა—61; სააზნაორო—71; ჰყონეს—76; შეოვალად—77, 78; ფოძითა—92, 94; სროლითა—92, 94; დაუტეუს—104; ალესრო, ლებოლის—114; ჭინამძლორად—116; შეოცვალეპელად—118; ანო—124, 152; ორის მყოფელთა—128; კორაპალატო—136 (იქვე: კურაპალატა—144); გაოგია—143 (იქვე: გაუგია 149); სულკურთხე-ოლისა—148.

შ ტ პ. ორც უ-ბრჯგუს გაღმოცემა კ ასოთი განცეკვითნება მაინც და მანც XII საუკუნეს. პირიქით, ამ მოვლენას უფრო „ქლა-სიკურ“ ქართულში აქვს ადგილი <sup>2)</sup>. ამიტომ ჩვენს ძეგლში ის შეი-ძლება მთლად დედნისეულიც იყოს. მიზეზდავად ამისა გამოცემაში ჩვენ მას არ ვიცავთ: ის სისტემატურად არაა გატარებული და ერთ-სა და იმავე პირობებში ხან უ-თი გაღმოიცემა, ხან კ-თი.

შემთხვევები: თვალითა—2; თვალითა—6; თვალი—17; თვკლი-თა—31 (იქვე: თუ-ლითა—10; თუალითა—12, 19); სხვად 15, 12 (იქვე: სხუანი—22, 40; სხუად—42); თვესა—113; გვარმან—120 (იქვე: გუარმან—161); ა-კ (-ხესკ)—128; ს-ლისა-თვ-ნ 149; ჩემისათვეს—122; მ-ლ-დელომძვართა—34 (იქვე: სამლდელომძლუროვ); და-გვიწერია—122; დედა ქალაქისათვ-ს—59.

შ ი ტ პ. „უ-ბრჯგუ პლუს ი ძეველს ქართულში ჩვეულებრივად გაღმოიცემის კ ასოთი“ <sup>3)</sup>. ეს ასეა ჩოგორუც X საუკუნის მრავალ ტექს-ტებში, ისე ხანებტ ტექსტშიაც. მაგრამ „გამონაკლისებს“ ორც ეს

<sup>1)</sup> უფრო იდეალურ სახეს, ვიდრე შესაძლებელია ოფესიე არსებულს, რად-გან, როგორც უკვე აღუმიშნეთ, ჩვენ არ შევვიდლა ვამტკიცოთ, რომ დედანი ამ შირით სავარებით „უნაკლო“ იყო, ამის თვალსაჩინო მაგალითს სერტიცოვლის გა-რეთი კარი-ბჭის ჭარწერია იძლევა: სოლისა, დამყარებოლი.

გაუდებარია რატომ შეცეალა ეს ფორმები ს. კაკაბაძეშ სსენტული ჭარ-წერის „აღდგენისას“: სულისა, ჭამყარებული? თუ აწინდევლი ორთოგრაფიის და-ცვის მიზნით, მაშინ რატომია აღადგენს და იცავს ფორმებს: ჩუენი, წმიდისამ.. ველესისას ბეტ?

<sup>2)</sup> ბ. ჩიქობა კავა, ვონის რეულექსები ფერეიდნულში, გვ. 8-10.

<sup>3)</sup> იქვე გვ. 10.



მოკლენაა მოკლებული: ორაერთი ქეგლი მოიპოვება IX—XIV საუკუნეებზე; ას, სადაც — ზოგიერთში სპორადულად, ზოგიერთში პირველი შემაცტურად — უი კომპლექსი გაღმოცემა არა კ ასთო, არამედ უი-თ<sup>1</sup>. უი-ს ვ-თი გაღმოცემა დამახასიათებელია აგრეთვე XI—XII საუკუნეთა ნუსხურით შესრულებული ქეგლებისათვის (ითანე ტეფთ კმეტ ც ცხონება; გიორგი მთაწმილე ის ცხონება; 1074 შელს გადაწყვრილი აღაპების ტექსტი; დავით აღმაშენებლის ანდერძი; მამასახლისი ვავლეს მიერ ათონებე განენილი აღაპები 1170—1184 ჭლებში და სხვა). ვამბობთ: „ნუსხურით შესრულებული ქეგლებისათვის“, რადგან, როგორც ცნობილია, ქევლმა მდივანმწივნობრულმა კ (ისევი როგორც ა და ც) არ იცის<sup>2</sup> და იქ უი კომპლექსი ჩევეულებრივი უი-თ გაღმოიცემის.

მეტად თავისებურია ამ მხრით ჩევნი ქეგლი. ის შესრულებულია ნუსხა-ხუცურით და 24 შემთხვევიდან მხოლოდ ორი თითქო უდავო მაგალითი გვაქვს უი კომპლექსის ვ-თი გაღმოცემისა<sup>3</sup>. 19 შემთხვევაში ის უი-თ გაღმოიცემის. სამი მაგალითი სადაოა: ჩემისთვის — 113; ჩისისთვის — 138; თქ-ნისთვის — 119. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ აქვე პარალელურად მოიპოვება ფორმები: მათისათვის — 143; ათვანესთვის — 159; ვისთუისცა — 160 და კილვ უფრო: დაგვიწერია — 122; ქალაქისათვეს — 59; ჩემისათვის — 122; ს-ლისათვნ — 149 (უკანასკნელ თოხ შემთხვევაში კ. აშეარაა, უ-ბრჯგუს მაგივრობას სწევს და არა უი კომპლექსისას), — მაშინ თითქო უფლება გვიდეა „სადაო“ დაქარაგებანიც ამათი ანალოგით გავხსნათ: ჩემისათვის, თქუნისათვის.. აქეც უნდა აღიიროთ: უკანსკნელი სიტყვა ჩევნ მიერ აღდგენილი ფორმით უფრო საეჭვოა, ეიდრე პირველი, და ეს იმიტომ, რომ პატივის ნიშანი მას ჩევნთვის საყურადღებო ადგილზე არა აქვს, მაშინ როცა სხვა არ შემთხვევაში ეს ნიშანი სწორედ კ-ს აზის. როგორც არ უნდა იყოს ერთი ცხადია: უი კომპლექსის გაღმოცემის საკითხში ჩევნი ქეგლი მერყეობას იჩენს კ-სა და უი-ს შორის და დიდი უმრავლესობა მეორე ფორმას უკერს მხარს.

<sup>1)</sup> საბატ. საეთნ. სახ-მის მუხ-ბის ჰილეტრატის ბელნაწერი № 2123. იაკობის წირვა — ის. ჩ. კეკელიძე, ძრენე-ერუსალიმის არქიეპიტოკი. უკანსკნელი სტელა წელნაწერის ორთავგრაფიული მოკლებები ჩევნთვის განსაკუთრებული მინიჭნებულობისა იქნებოდა, რომ ეს ქეგლი ასომთავრულით არ იყოს შესრულებული.

<sup>2)</sup> მეტად საუკრადლებო მოკლენა მდივანშივიგობრულის წარმოშობილობის დროისა ან პირობების გასათვალისწინებლად.

<sup>3)</sup> ასეთი სიტყვებია „ლწონ“ და „თვინიერ“. თვინია უნდა აღიიჩნიოს, რომ ვამორიცებული არაა შესაძლებლობა, რომ ამ შემთხვევებშიაც კ ტ-ნის მაგივრობას შევედის და არა უი კომპლექსისა.

საფიქრებელი არაა, რომ ეს ასევე იყო პირმშო დედატერიულუდა  
რასაცირეველია, ის ნუსხა ხუცურით იყო შესრულებული და მიმუშვილით  
უნდა ვიტოქტოროთ: 1) ან დედანი მხედრულით იყო შესრულებული<sup>1</sup> და  
კ-ს გაჩენა გადამწერის წყალობაა, ან 2) დედისეული (ნუსხა ხუცუ-  
რად დაწერილის) კ XII საუკუნის<sup>2</sup> გადამწერალმა შეცვალა უი-თ  
მხედრულ დამწერლობაში გამშეფებული ორთოვრატიის გაელენით<sup>3</sup>.

გამოცემაში ჩენ ში კომპლექსს კ-თი გადმოცემთ.

შემთხვევები: სამარტუილოდ,-ონი—5; 9; 88; 108; მერტულ-  
ი—127; როცხუით 17; ხუირნი—19; ატყუიან—42; ქალაქისათვეს—  
59; ყინულისი—70; ამოგუიგოლ—80; წისქუილნი—93; გუილო-  
ციალეს—105; ჩემისათვეს 118; თქ'ნისათვეს—119; ჩემისათვეს—90; და-  
ვკიწერია—122; ჩემისათვეს 138; მ-თისათვეის—143; სლისათვენ—149;  
ამენესთუეს—169; ვისთუისკა—160; ღვინო—79; თვინიერ.

ა. ა-ს ხმარებაშიაც ჩენი ძეგლი შერუცვია. ამ ასოს „წესიერ“  
(ე. ი. ძელ ქართულში ჩენულებრივ) ხმარების გვერდით „უწესო“  
შემთხვევებიც მოიპოვება. ძეგლში არ გვხვდება არც ერთი ი-ნით  
დაწყებული სიტყვა—სულერთა, ხმოვანი მოსდევს ამ ასოს თუ თან-  
ხმოვანი,—რომ იქ ი-ნის მაგივრად ა არ იყოს. ამ შემთხვევებში ა  
ი-ნის ნაცვალია<sup>4</sup>. მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვის დასაწყისში. სიტყვის  
შუაში ასეთ მოვლენას აღიღილი არა ძეგლი ორიოდე გამონაკლისს გარ-  
და. კველა სხვა შემთხვევებში ა-ეს ხმარება ძელი ქართულისათვის  
ჩენულებრივია.

შემთხვევები: 1. სიტყვათა დასაწყისში: ჰადგარი—38, 43 (ია  
კომპლექსი არსად სიტყვის შუაში ა-ს არ იძლევა: ზიარი—75, ექ-  
ლესიასა—116, მატიიანენი..); აქსკ—128 (-ჲ-კ; არც იქ კომალექსი  
იძლევა ა-ს სიტყვის შუაში: ძლიერი); მოვანე—35, 153, 159, 160;  
ატყუნ—42; უდას—127; ჟყო—79, 80, 102; ხილნეთ—35; ჰანვარისა—  
113; ჟყან—152; გამოცემაში ჩენ ამათ არ ვიცავთ.

ო. კომპლექსი. აქ ა-იე გატარებულია გამოცელებლივ—არის  
ის ნომინატივის ნიშანი, შედის genetiv'ის (=ის; ოს), locativ'ის

<sup>1)</sup> ასეთ დაშვებას ანელებს ზემორე აღნიშვნული უბრავებს კ-თი გადმო-  
ცემის მაგალითთა „არქაული“ ხასიათი.

<sup>2)</sup> „დედანისა“ და „XII ს-ის პირსედ“ საუბრისას ჩენ, რა თქმა უნდა, არ  
ვავიწყდება, რომ შესაძლებულია ჩენი პირი პირმში დედნის პირეელი არ იყოს.  
ამაზე ქვემოთ.

<sup>3)</sup> უკანასკერლი შესაძლებლობა ჩენ უფრო მართვებულად მიგვაჩინა.

<sup>4)</sup> დაურმილებელი ი-ნის. ჩენ X—XII ს-ეთა ძეგლებშიაც ქედებით ასეთ  
შემთხვევებს მაგრამ სპორადულად.



(==ით; ოთ) და ablativ'ის (=ით; ოთ) ნიშანში, თუ უკიდურესად კომპლექსს ქმნის. ასეთებია: სამარტინო—5; სათანალო—31, 37; საწელიწოდო—34, 38, 44; სამღელომობრუოდო—49—50; ოქსინოდ—50, 54; ტონიოდ—65; სააზნაორიო—71; სასეფოდ—72; ღვნოდ—79; ეზოდ—112; ზემოდ—129; ოქროსანი—4, 19; ოქროსად—17; ოქროსა—39; ოქროსანი—20, 21; სასეფოსავან—98 ზემოთ—100, 139; ზემოთგან—122; ქვემოთ—129; ოქროთა—1, 2, 3, 6, 10, 13, 15, 23, 27, 47, 52, 54; ოქროქსოდლი—53. გამოცემაში ჩვენ ყველა ამათ უკანასკნელი დიალექტური მოვლენის გამოუყენებლივ (ოქროქსოდლი—ოქროქსოლი—ოქროქსოდლი) ვიცავთ.

ამ კომპლექსი. აქაც ა-იე გატარებულია სისტემატურად.—არის ის nominativ'ის ნიშანი, შედის genetiv'ის (=ის; —ას) და ablativ'ის (=ით; —ათ) ნიშანში, თუ უკიდურესით კომპლექსს ქმნის:

ტმიდად—2, 5, 107, 121, 125, 126; ცხორებისად—7, 126; ოქროსად—17; ღმრთისმშობლისად—10; მაცხოვრისად—12, 13; 300-ხლისად—13, 25, 27, 109, 110; შეუმლისად—14; სახარებად—31; გამოქადებად—35; ცხორებად—37; კურთხევად—49, 133; განგებად—43; მამარიად—51, 53; მაქანად—52; ორთად—62; ხარებად—64; აგარად—65; პალავრად—69; მიწად—71, 93; ყალებიად—74; შეუკალობისად—78; რადცა 80, 162; ჭალად—91; ყანად—95; ჩემთად—125; მამად—125; ეკლესიად—125; ღმრთიადისად—126; ეკლესიად 125; არად 165; ბრძანებად—151, 152; მისისად—139; კურთხევად—133; მიწადსა—18; ლუჟადი 29; რამსაცა—123; ეკლესიადსა—131, 163; ვეცხლისადთა—33; ავარათა—61, 62, 67; ღმრთისადთა—136, 140, 141; ტაშტაბრააგი—26; მამარიად—51; დამცაახსჯების. გამოცემაში უკანასკნელ საბ შემთხვევები არ ვიცავთ.

ძეგლში არხებული სხვა მოდენები: 1) ურედუეციო „ფორმები: ნათლის მცენებისად—14; შესავალისა—97; ღმრთისმშობელისად 10, 131; ქუცანისათა 4; შესავალითა 70, 71, 74 და სხ.. ამათ გვერდით, მოიპოვება ფორმები რედუეციით. გამოცემაში ჩვენ დაუტოვეთ ეს ორსახობა. 2) ა-ეს „განდევნა“ ე-ნის შემდეგ. ასეთად გვეჩერება: მათესი—29; ალენესი—29; ალენეს—35; ალენესდა—153; ალენესთუის—159. გამოცემაში ჩვენ ეს არ აღვაღინეთ, რადგან პირმშო დედანში ასეთ ფორმათა არსებობის უკველობაში ჩვენ საესებით დარწმუნებული არა ვართ, თუმცა მათ შესაძლებლობაში ეჭვი არ შეგვდის. ე-ნის შემდეგ ა-ეს ასეთი განდევნის ნიადაგზე წარმოშობილ დამახინჯებად შეგვეძლო მიგვეწია ფორმაცი: „ქვე მტკიცე და ყავნ ბრძანება მათი“ 151—152 „ქვე“

მტკიცებ ყავნ ბრძანებად მათი-ს ნაცელად. 3) ინდივეფენალურად—გ ბაზი: დავდგენ—82 (ფაქტის ანალიზით); ღილოკ ჰუმანიტარული ნაცე. ლილკილოსთა—33. შდრ. კალაშიკოვის მონასტრი ის. „თონის... ხელნაწერი“ გვ. 270. 4) აღსანიშნავია: სენანი; შდრ. „მოსენაენი“ (იუ ტ ეფთ კმეს ცხორება); როგორც ჩანს, „სენაკი“—ს გვერდით ორსებულა ამ სიტყვის მეორე ფორმაც—„სენად“. შდრ. სენაკ-ები (შუ შანიკის მარტვილობაში); ძველი ფორმა: უნდეს—100 (კონცენტრიულ უნდოდეს ნაცელად), ვირე—102, ვირემდის—107, 121 (ვიდრემდის ნაც); „ულელი“ წყვილის გაგებით:—„ულელით ანაფორითა“ 50. 5) შეცომები: ეკლესია 39 (ნაც. მელისია), კრულმცა რის (ნა ყ. კრულმცა არის)—132; რა აზნაროვა—71 (ნაც. სააზნაუროვა); ქა მტკიცებ ყავნ ბრძანებად მათი—151—152 (ნაც. ქა მტკიცებ ყავნ ბრძანებად მათი); გავაგ 99—100 (ნაც. განევაგე)<sup>1</sup>.

ეხლა შეგვიძლია ვიკითხოთ: როდისაა შესრულებული ჩენი პირი? თ-ნის უნითან ხშირი მონაცელობა, ა-ეს სწორე ხმარების დარღვეულობა, ტ-ის ჯერ ვერ მომაგრება,—ყველაფერი ეს ეთანხმება „ხელის“ მიხედვით მიღებულ განსაზღვრას—XII საუკუნით<sup>2</sup> (უფრო დაახლოებით: მისი პირველი ნახევრით). ამასვე უჭირს მხარს ასო უ-ნის ხასიათი. მისი ხმარების ოთხმოცი შემოხვევიდან ორმოცელ ის სამებილიანია, ხოლო ორმოცელ თხებილიანი (ჩენი ცდა, რაიმე კანონზომიერება აღმოვენაში—უშედეგო გამოდგა).

ეხლა გადასაშეცვეტი გვაქვს საბუთის დედნის დაწერის თარიღი. ამ საკითხის გარშემო რამოდენიმე მოსაზრება არსებობს: ძეგლის პირველად გამომცემელი პროფ. დ. ჩუბინა შეიცლი, საფიქრებელია, ძეგლის თა-იღად 280 ქრონიკონი (=1060 წ.) პეტრის-ხმობდა, თუმცა უცურადლებოთ მას არც ტექსტის მეორე აღილის ნაჩვენები ქრონიკონი ს-მ (=240) დაუტოვებია ტ საუცმელიანად

<sup>1</sup> ეს „შეცომა“ საყრდალ ბრ „ულგარიზმია“.

<sup>2</sup> საპიროვ მიკვემდებრი გარსაკუთრებითაც შევნიშნოთ, რომ ყველა ეს ერთ-ბრიტი მიკვემდებრი თავისთვის დაგლის დათახილების დამოუკიდებლ ნიშნებად ვერ გამოდგება და ეს მით უყრო, ა-ოცა საქმე გვაქვს არა კანონიკურ ტექსტობაზ ჩენ არა ერთი ამ შერი „უკრაზე“ ძეგლი გვხვდება X—XI სს—ში, რომელიც სამწუხაროდ, აქემდის ამაღდ ელიან გამოიქვას... ამიტომ ამ მოვლენების თანაბრძობის საფუძვლიანობა „მედ ს- მის კუთ მიღებულ დათახილებისთვის პირობითია. უფრო სწორი იქნებოდა გამოთქ ა, რომ ეს ნიშნები არ ეწინააღმდეგ გრძიან „ხელის“ მიხედვით იღლია კასლერის.



ცდილა მის შესწორებას <sup>1</sup>.

თ. უორდანიამ პირველად <sup>2</sup> დ. ბაქრაძის შემოუტყველების ნამდვილის გუჯრითვან შემოულებით გადმოწერილი პირის " მიხედვით „სიკლის“ თარიღად 1040 წელი აღიარა.

მ. ბროსეს აზრით თარიღი 1020 წელი (ქრონიკონი ს. მ.) საბუთის მხოლოდ ერთ ნაწილს შევხება. მაგრამ ამ ნაწილშიც რომანზე კეისრის მოსხენიება აუკვებს მას და ჰკითხულობს: ხომ არ აკლია ქრონიკონს ს. მ. ერთოულების აღმინშვნელი ასო?

თ. უორდანიამ ძეგლის შეორედ გამოცემისას № № 14 (=378) ტ. 13 (=379) პირთა თანხმობლიერი ჩვენების მიხედვით სიგლის თარიღად გადაჭრით 1020 წელი აღიარა: „ორსავე პირს ქრონიკონი უზის: ს. მ.: (1020 წ.) და აქიდამ ცხადია, რომ ჩუბინ აშვილი, ბაქრაძე და ბროსეს შემცდარნი ყოფილიან, როდესაც მათ ეს სიგელი მიაწერეს 1040 წელს“<sup>3</sup>.

დ. ბაქრაძე ს. მ. ქრონიკონს ს. ა. რ. ჰკითხულობდა და ასეთ წაკითხვებს პროსეს მიერ წანაგათხს—ს. მ.—უპირდაპირებდა. ასე რომ მისი აზრით ამ ძეგლის თარიღი უკეცვლად 1040 წელია <sup>4</sup>.

ს. კაკაბაძემ წარსულ 1929 წელს „კიდევ სკეტიცხოველის აშენების დათარიღების შესახებ“ ერთი ახალი შესახრების წამოყენებისას „ისარგებლა შემთხვევით ამ მელქისედევ კათალიკოზის მცხეთისადმი მიცემულ სიგელის თარიღის შესასწორებლად“. მკლევარმა გაიმეორა ბროსეს აზრი 240 ქრონიკონის ძეგლის მთავარ ნაწილისადმი კუთხინილობის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი თქვა იმ სიძნელის შესახებ, რომ სწორედ ამ მთავარ ნაწილში 1028 წლის დამლევს გამეცებული რომანზი უკვი კეისრიადა მოსხენებული, რაც ბროსეს სამართლიანად იცემებდა.

ძეგლის დამამტკიცებულთა—ბაგრატ კურაპალატისა და კვარკე რანთა და კახთა მეურის <sup>5</sup> თანამედროვეობა ს. კაკაბაძემ

<sup>1</sup>) ქართული ქრისტიანული ნაწ. I... დაბეჭდილი დ. ჩუბინოვის აგა... 1863 წ. გვ. 206.

<sup>2</sup>) თ. უორდანია, ქრონიკი 1, 181.

<sup>3</sup>) M. Brosset, Histoire moderne de la Géorgie p. 450—451.

<sup>4</sup>) თ. უორდანია, ქრონიკი 11, 31. მკლევარის უკანასკნელი გამოთქმა სინამდვილეს არ შეფერხება: არც დ. ჩებინაშეილი და არც მ. ბროსე ამ ძეგლს 1040 წლით არ ათარიღებდნენ, არამედ პირველი 1000 წლით,—ხოლო მკლევარიშვილები ძეგლის თარიღს—1020 წელს (იხ. H. de la G. I, 302 გ. I), და ცდოლობდა მის შესწორებას (იხ. H. moderne de la G. p. 450—451). მხოლოდ დ. ბაქრაძე ჰკითხულობდა ძეგლის ქრონიკის სა-ედ(=1040 წ.).

<sup>5</sup>) Д. Бакрадзе, Статьи по истории и древностям Грузии.

<sup>6)</sup> შემ. მ. ბროსე, op.cit. loc. cit.

1031—1040 წლებით განსაზღვრა და დაასკვნა: „მელქისედეტის შემადგროვებელი და დაასკვნა: მელქისედეტის შემადგროვებელი და დაასკვნა“ თაღლი დაახლ. 1031—1040 წლებში... თვით მელქისედეტის კათალიკონბა კი მოდის დაახლ. 1010—1035 წლ. ახლო ხანებისთვის “საისტორიო კრებული IV, 114 შენ.“).

დასასრულ მელქ. კზის „დაწერილის“ თარიღს პროფ. ივ. ჯავახიშვილი შეეხო. მკვლევარი მიაქცეს ყურადღებას ძეგლში რომანოს კეისრის, როგორც მელქისედეპ კზის თანამედროვის მოხსენიებას დასკვნის: „ეს თარიღი. 1020 წ., უძვილია, მცდარია და დედანში არ შეიძლება ასეთი თარიღი კოფილიყო“. შემდევ. ძეგლში ნაგულისხმევი თანამედროვებიდან ბაგრატ ქურაპალატისა, კვირიკე მეფისა და მელქისედეპ კათალიკონისა პროფ. ჯავახიშვილი ციფრობს ცხადყოს „1020 წ. დაწერილობის წელიწადად მიჩნევის მთელი შესაბამობა“ და იმ დასკვნამდის მიღის, რომ „მელქისედეპ კათალიკონის ამ საბუთის დაწერილობის თარიღიად სა (260) ქრონიკონი ანუ 1040 წ. უფრო დასაჯერებელია, ვიდრე მე XII და XVII სს—ის გარდანაწერში დაცული 240 ქრონიკონი, ანუ 1020 წ.“ (ცკონიშვილი ისტორია, I).

როგორც ეხედავთ, ხსენებული საკითხის გარშეშონ მკვლევართ შორის თანხმობა არაა, რაც თვით ძეგლის ხასიათით აიხსნება.

სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს პირდაპირი ცნობა: ბაქრაძის მიერ გაღმოლებული პირის დედანი იგივე ჩვენ ხელთ არსებული № 14 პირია თუ კიდევ სხვა? უკანასკნელი შესაძლებლობის გამართლების პირობებში ბაქრაძის სეულ ქრონიკონს (=260) გადამჭრელი შეიძლებოდა შეიძლებოდა მიმნიჭებოდა, თუ, რა თქმა უნდა, ამავე დროს დამტკიცდებოდა, რომ ეს პირები ერთი მოურისაგან არ წარმომდინარებოდნ. თ. ეთრდანიას მიერ მოყვანილი ბაქრაძის სეული გარდანაწერის სხვებრობათა შედარება № 14 პირის სათანადო ადგილებთან ამ რიც წყაროს თანხმობაზე შიგვითითავებენ მხოლოდ. არსებული ორიოდე განსხვავება ბაქრაძის წანაკითხის მცოარობით შეიძლება აიხსნას.

როგორც ჩანს, ბაქრაძის წყაროსაც თავი ჰქლებია. [თუმცა ეორდანია ამას არ ამბობს, მაგრამ ეს ჩანს იმ გარემოებიდან, რომ

1) რომ წინაღმდევი თ. ეთრდანიას განხეხადებისა ბაქრაძის სეული „თვით ჩამდგრილი გუჯარის მთალოდ პირი უოფლა, ამას თვით ბაქრაძეც გვამცობს (ი. ზემოდასახლებული წერილი). მაგრამ ბაქრაძისმიერი დაენიება: სა: ქრონიკონი გვადევებს ხომ არ ქვრია დედნად გამს. მკვლევარს ჩეკინისაგან განსხვავებული პირი?



ის დ. ჩუბინაშვილისეული ტექსტისა და ბაქრაძისეული პირტმ/წედგა—გარებისას, აღნიშვნას რა პირველის თავნაკლულობას, არასცვალებულისა და შესადარებელი ტექსტის თავსრულობაზე, მაშინ როცა მას არ ავიწყდება საგანგებოდ აღნიშვნის; რომ ქ' ცაში ჩენი ძეგლიდან ცნობების შემტან თეიმურაზე ს ხელთა ჰქონია ტექსტი, რომელსაც თავი არ ჰქლებია. დასასრულ, რომ ბაქრაძისეულ გარდანაწერს თავი ისევე არა ჰქლებოდა, როგორც დ. ჩუბანაშვილის ტექსტს, უძველია, თ. ეთრდანია ამ ნაწილს დაბეჭდავდა იმის მაგივრად, რომ ქ' ცას თეიმურაძისეული გარდათხრობა მოეყვანა]. ჩვენ კი ვიცით, რომ № 14 პირს XVII საუკუნეში ჯერ კიდევ თავი არა ჰქლებია: მისგან არის ამ საუკუნეში გადაწერილი № 13 პირი უთავნაკლულო, რომლითაც თეიმურაზე მა ისარგებლა ქ' ცაში ამ ძეგლიდან ცნობათა შეტანისას. მნელი დასაჯერებელია, რომ ორ სხვადასხვა პირს ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად სავსებით ერთნაირი ზიანი განხცადოს, ამავე დროს სრულიად ბუნებრივია ასეთი რამ ამ რზი ძეგლის ერთი მეორისაგან წარმომდინარეობის პირობებში. ამ შემთხვევაში უძველია ორში ერთი: ან ბაქრაძის გარდანაწერის დედანი თეით არის გარდანაწერი № 14 პირისაგან, მას შემდეგ რაც უკანასკნელს დასაწყისი დააკლდა, ან არა და ბაქრაძის ხელთ სხვა პირი კი არ ყოფილა, არამედ იგივე № 14. ორივე შემთხვევაში მისი ქრონიკი: ს-ა: თვით ბაქრაძის მიერ გადაწერის ნიადაგზე დაშეცემული ისეთი შეცოომა, რომელიც სრულიად შემთხვევით უფრო ეთანაბება სხვა ისტორიულ ცნობებს, ვიდრე მისი დედნის აგრეთვე შემცდარი ქრონიკი: ს-მ:

ამრიგვედ, 1040 წელი, როგორც ჩვენი ძეგლის ერთერთი პირის მიერ მონაცემი თარიღი, მოხსნილია.

დაგვრჩა 1060 დ 1020 წლები. პირველი წარმოდგა დ. ჩუბანაშვილის მიერ: ქ' 3—გამოთქმის უმართებულო წაკითხებისაგან. სახელდობრ ის ვეკითხულობდა: „ქრონიკისა ვ“ დ, რაღან მარტო პ-არი, ვითარუ რიცხვი (=80), აქ შეუძლებელი ჩნდა, გამომცემელს ეცონა, რომ ქ' ანსა დ პ-არს შორის უნდა ყოფილოყო ს-ანი, რაც უნდა წაშლილი ყოფილოყოს სიძეველისაგან (Op. cit. 208). ჩვენ ვიცით, რომ პროფ. დ. ჩუბინაშვილი № 14 ხელნაწერით სარგებლობდა. ამიტომ გაუგებარია მისი: „უნდა იყოს სპ,—ს-ანი წაშლილი სიძეველისაგან“. № 14 ხელნაწერში ს-ანის წაშლილობის არავთარი კვალი არა ჩანს. იქ სრულიად გარევევით სწერია: რეცა სახელით ქ': დამიმტკიცებია: ქ' 3 მტკიცე აუკენ დ სხვა. უნდა ვიტოქტოროს ორში ერთი: ან დ. ჩუბინაშვილის გამოთქმა არაა ზედმიწევნითი დ

მას ჰსურდა ეთქვა: „უნდა ს'პ, ს-ანი გადამწერს (№ 14 პროტოკოლის) გამორჩენია, შესაძლებელია დედანში მისი დაზიანებულობის გამორჩენია, ან არა დ' მას სხვა პირი ჰქონდა ხელთ და არა № 14. უკანასკნელი დაშვების პირობებში უდავო იქნებოდა ასეთი პირის № 14 ხელნაწერისაგან ჭარმომზღინარეობა. ხოლო, რადგან № 14 ხელნაწერს თავი მხოლოდ მე XVII საუკუნის შემდეგ დააკლდა, ამისდა მიხედვით დ. ჩუბინაშვილის შეული პირიც ამ ხნის შემდეგ დროში შესრულებული უნდა ყოფილიყო<sup>1)</sup>. მაგრამ ასეთი დაშვების წინააღმდეგი არის თვით გამომცემის გამოთქმა, რომ „ს-ანი წაშლილია ს ი-ი ვ ე ლ ი ს ა გ ა ნ“, რასაც 18 საუკუნეში გადაწერილი პირის მიმართ ის ვერ იტყოდა. ამიტომ, ვეიქტობთ, პირველი შესაძლებლობა უფრო მართებულია და ჩევნ საქმე გვაქვს მხოლოდ გამოთქმის ნაკლთან. როგორც არ უნდა იყოს, სულერთია: № 14 პირის მიხედვით აქ ქრონიკონის ჩევნები არ არის ტ', თუ მაინც ტ' მაინც გამოთქმაში: ქ' 3 პირველ ასოს „ქრონიკონ“-ად გავხსნით (რაც ყოვლად უჩევეულოა და მიუღებელი ჩანს), პ' არი ისეთ რიცხვითს ოდენობას იძლევა (=80), რომ მისი მიუღებლობა უკვი დ. ჩუბინაშვილისათვის აშეარა იყო.

ამრიგად, არ არსებობს 1060 წელი, როგორც ჩუნი ძეგლის ერთ-ერთი ქრონიკონი.

დაგვიჩი ს'მ ქრონიკონი.

პროფ. ჩუბინაშვილი, აკად. ბროსე და პროფ. ჯავახიშვილი ამ თარიღს შეუსაბამოდ სთელიან, თუნდაც ძეგლის ნაწილისათვის, და მის შესწორებას სცდილობენ.

მხოლოდ თ. ქორდანია და ს. ქაკაბაძე შეუსწორებლად იწყნარებენ მას (კაკაბაძე, როგორც ძეგლის მთავარი ნაწილის თარიღს, ხოლო ქორდანია, როგორც მთელი ძეგლის თარიღს). ძეგლის თარიღის დადგენის ცდისას ჩუბინაშვილი [?], ბროსე და ქაკაბაძე იმ მოხაზურებიდან გამოდიოდნ, რომ საბუთი თრი სხვადასხვა დროის ნაწილისაგან შედგება: პირველი, რომელსაც აბოლოებს ქრონიკონი ს'მ და მეორე, რომელიც ს. ქაკაბაძის აზრით უნდა იყოს „დაწერილი დაახლ. 1031—1040 წლებში“.

ეორდანია, ბაქრაძე და ჯავახიშვილი ძეგლს ასე არ ანაწილებენ და მათ მიერ მიღებული ესა თუ ის თარიღი

1) შესაძლებელია მართლაც ასე იყო ტ' ამით ასასწება ის მოვლენა, რომ ჩუბინაშვილისულ გამოცემაში, თ. ქორდანიას ენით რომ ეთქვათ, „თარიფიკრატიული თვისება ის დროინდელის მწერლობისა სრულიად არ არის დაცული“ (ქრონიკ. I, 181).



შეეხება ძეგლს მთლიანად. ბაქრაძის ასეთი თარიღია 1028 წელი, ხოლო ჯავახიშვილისა 1028 წლის შემდგომი დრო..

ასეთია ჩვენი ძეგლის დათარიღების აწინდელი მდგომარეობა.

უკიდულია, მართალი არიან ისინი, ვინც 240 ქრონიკონს შეუწყნარებლად სთელიან, ეხება ის ძეგლს მთლიანად, თუ მის ერთნაწილს მხოლოდ.

მართლაც, მელქისედეკ კათალიკოზი თავისი „დაწერილის“ პირები ნაწილში მოვეოთხრობს საკუთარი საქმიანობის შესახებ მცხოვის საქზო საყდრის სასარგებლოდ. ამიტომ, როცა ის ლაპარაკობს, რომ მან შესძინა ეკლესია... „ბერძენთა მეფისა რომანოზის ნაბომვარი შესამოსელი ოქროქსოილი :ა:“ და სხვ., ან: „ბაგრატ კურაპალატისა ნაბომვარი დიდი სკარამანგი :ა:“, ეს იმას მნიშნავს, რომ კვისარ რომანოზს და ბაგრატ კურაპალატს მელქისედეკისათვის პირადად უბოძებიათ მოხსენებული ნივთები (აქ ტერმინი: „ნაბომვარიც“ ამასვე გვაფიქრებინებს). ამიტომ შეუძლებელია რომანოზ კეისარში სხვა მეფე დავინახოთ გარდა რომანოზ არგვარსისა, რომელიც გამეფდა 1028 წელს 28 ნოემბრის შემდეგ დღეებში<sup>1</sup>. ასე რომ, თუ ეს ქრონიკონი აქ დედნისეულია და აშიაზე მინაწერიდან ჩვენი პირის გადამწერის შეირ ტექსტში შეტანილი არ არის, მაშინ დ. ჩუბინა შვილთან და მ. ბროსესთან ერთად უნდა დაუშეათ, რომ მას ერთეულის აღმნიშვნელი ასო აქვია. ასეთი ასო მხოლოდ თ-ანი შეიძლებოდა ყოფილიყო.

რომანოზ კეისარის რომანოზ არგვარისად აღიარების შემდეგ ჩვენთვის სავალდებულოა მელქისედევის მიმართვაში მოხსენებული და „დაწერილის“ დამამტკიცებელი ბაგრატ და კვარიკე მეფენი ვიკინათ ბაგრატ IV (1027—1072 წ.) და უკანასკნელის თანამედროვე კვარიკე მეფედ.

ბაგრატ IV-ის თანამედროვე კვრიკეთა შესახებ ვიცით; კვარიკი დიდი „მეფე რანთა და კახთა“, რომელიც უნდა გამეფებულიყოს 1009 წელს (ქ. ცხ. 243, \*468—9). 1011 წელს ბაგრატ III დაატყვევა კვრიკე და სამფლობელო ჩამოართვა. უკანასკნელი კვლავ დაეპატრინა პერეთ-კახეთს მხოლოდ 1014 წლის შემდეგ გიორგი ბაგრატისძის გამეფების პირველ წლებში<sup>1</sup> (იქვე \*584). კვრიკე, საფიქროებელია, მხოლოდ ამის შემდეგ ითვისებს მეფის წოდებას; მფლო-

<sup>1)</sup> დაახლ. ამავე ანს გამოსთვევამუნ აქად. მ. ბროსკ და პროფ. ი. ჯავახიშვილი.



ბელობის პირველ პერიოდში (1009—1011 წ.) ის „ქორეპის კომისარი იწოდებოდა<sup>1</sup>. კურიკე ცოცხალია ბაგრატ IV გამეფების შემდეგ დროშიაც: აშენდა შეერთებულ ლაშქრობის განძის ამიტა ფალონის წინააღმდეგ—ეს უნდა ყოფილიყოს 1032 წლამდის<sup>2</sup>, „ყოფელადე ვიდრე ყრმა იყო ბაგრატ“; ე. ი. უფრო დაახლოებით 1027—1030 წლებში. კურიკე შეუკეთეს მოკლულ იქნა 1037 წლის უწინ<sup>3</sup>.

შეორე კურიკე შეუკეთეს მოკლულ იქნა 1037 წლის თანამედროვე, იყო სომებთა შეუკეთეს კურიკე სამშენებლარ-ზორავერტელი, დაფითის-ძე, რომელიც გამეფდა 1046 წელს. ის იყო მათ კახთა შეფის გაგიკ და ვითის-ძისა, კურიკე დიდის დისტულისა. მაში თვით ეს კურიკე სომებთა შეუკეთეს, შესაძლებელია, იყო კურიკე დიდის დისტული.

მელქისედეკის „დაწერილი“-ს დამამრეცისებული კურიკე შეუკეთეს კურიკე: „მეტა კურიკე შეუკეთესა დისტულსა კურიკე მეფისასა კელითა ჩემითა ჩიმირთავს და დამიმტკიცებია“—ო.

ვინ უნდა იყოს ეს კურიკე შეუკეთეს კურიკე—დისტული კურიკე—სი? პირველი შეხედული ის თოთქა „სომებთა შეუკე“ კურიკე უნდა იყოს. მაგრამ აქ ის დაბრკოლებაა, რომ კურიკე „სომებთა შეუკეს“ თანამედროვეობა მელქისედეკ კათალიკოზთან შეტად სათურა (თუ არ შეუძლებელი) და მეორეც, რა მისატანი იყო კურიკე „სომებთა შეუკესათების“ კურიკეს დისტულობა? რამდენადაც უნობილია, მას ჰერეთ-კახეთთან რაიმე დამოკიდებულება არა ჰქონია.

<sup>1)</sup> ქ. ცა. 2/3. ფულ შემთხვევაში შატიანე ქართლისას ავტორი ამ ხანებში მას შეუდა არ იპირიბებს.

<sup>2)</sup> ამ წელს უსომიტირესავე შინა ბაგრატ შეუკესასა ლიპარიტის-ძემ და ივანე აბაზასევე—ქართლის ერისთავმა შეცემული ჯადარ ამირა და ფიფასას ტევეზ ჰყავდათ, სანამ ბაგრატმა არ ვაათავისტულა ის, „მიერითოდ დაჩა მტერობა ლიპარიტთ და ამირას შეა“—ქ. ცა. 258. უძველესა, კურიკეს კალიკრა, რომელშიც კუაბა ამირაც და ლიპარიტიც მინაწილებდნენ, ამ ამბებზედ უწინარეს უზრა ფოფილიყო. ამასვე ვაკალებს: „ყალცლადე ვიდრე ყრმა იყო ბაგრატ“—ქ. ცა. 257.

<sup>3)</sup> ტფლისის გარემოცვა ბაგრატის მიერ 1037—28 წელს დაიწყო (იხ. ე. ჯ. ა. ვ. ა შ. ი შ. ი ღ. ი, ქართ. ცარის ისტორია II, გვ. 434). ამ დროს კურიკე შეუკე ცოცხალი აღარ იყო და კახეთში მისი დისტული გაგიკ მეფობდა (ქ. ცა., 258). სამშენებლო, გამოთქმის „მას უამსა მოყლულ იყო დიდი კახთა შეუკე კურიკე“ ისე როგორიც იქვე: „მას უამსა იყო შეუკე კახეთის გაგიკ ძე დაეთ სომებთა შეუკეს“ იური შედმიწერმოლისი ფათარიცების უულებას არ გვაძლევს. „მას უამსა მოყლულ იყო“ სრულიად არ ჰინდავს თოთქა კურიკე იმ წელს მოყლული, როგორც ეს თ. კურდანიას ეკონა, ისე როგორც „მას უამსა შეუკე იყო“ არ მინაშეს, თოთქა გაგიკი იმ წელს გამოვდა. შესაძლებელია, ბრინჯეს თარიღი კურიკეს სიკედოლისა—1029 წელი უფრო სწორე იყოს, ვიდრე ვასტერის თარიღი 1038 წელი. ყოველ შემთხვევაში თ. ცარიდანიას თარიღი —1048 წელი სრულიად მიუღებელია.



დაგვრჩა კვრიყე დიდი „რანთა და კახთა მეფე“. მუსტახუჭა: (op. cit.), დ. ბა ქრისტე (ვახუშტის ისტ. გამოც. გვ. 325) მთავრული დანია (ქრ. I, 196) და ს. კაკაბაძე (ხაისტ. კრ. IV) სწორედ ამ კვრიყეს პერნებენ „დაწერილის“ დამამტკიცებლად. ამათგან მხოლოდ ბროსე მ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ კვრიყე მეფე აქ კვრიყეს დისტულად უწოდებს თავის თავს. როგორც ჩანს, ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია გვრეთე თე მურაზ ბარნი შვილსაც. მას ვაუგებარი „დისტული“ გასავებ „ძისტულად“ შეუცვლია (ქ. ცხ. ბროსეს გამ. 222). კვრიყე დიდი შართლაც ძისტული იყო კვრიყე II-ისა. შაგრამ სიძნელე ამით, რა თქმა უნდა, არ დაძლეულა. ჯერ ერთი, რატომ ძისტულობით უნდა ემცნო თავისი თავი კვრიყე „რანთა და კახთა მეფეს“ და არა დაეითის წელობით? მეორეც: კვრიყე დიდის პაპა „მეფე“-დ არ იწოდებოდა, ის „ქრისტისკომიზი“ იყო. ამიტომ კვრიყე დიდი ძისტული იყო არა კვრიყე მეფისა, არამედ „კვრიყე ქრისტისკომიზისა“. ყველა ამის თემურაზისეული შესწორება ტექსტისა უარსაყოფია. მაში ვინარ იყო კვრიყე მეფე „დისტული კვრიყე მეფისა“?

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა თ. ეროვნულ ანიას მიერ „აფხაზთა ქრისტიანულან“ ამიღებული ცნობა:—ქა: სეჩ. დასაბამითვან; ხენგ [აქა მ--]--ედა ] დი - - - ] დაჯდ - - - ] ე- ე-ხთა. მევლევარი ურთავს: ამ „ხეთ სტრიქონიან წარწერას ჩვენ ასე ვკითხულობთ: „აქა შ[ო]კ[ა] ვდა ს[ო] დი [დი და] დაჯდ[ა] ა- ე კახთა“ ესე იგი: „აქა მოკვდა კვირიყე დიდი და დაჯდა კვირიყე კახთა“ (ქრონ. I, 196). თავი რომ დავანებოთ მოყვანილი ქრისტიანის თარიღს, რომელიც, არ ვეკვობთ, მცთარია, ეს ცნობა იმითა საყურადღებო, რომ კვრიყე დიდის მემკვიდრეს კვრიკე დავე ის ხენიებს. ქ. ცხ.-დან ჩვენ კი ვიცით, რომ კვრიყე დიდის მემკვიდრე იყო გაგიკ „დე სომეხთა მეფისა დავითისი“ (ქ. ცხ. 258 \*485, 261 \*488). შეიძლება ვითიქროთ, რომ კახეთში გამშეფებისას გაგიკ დავითის ძეს ბიძისა [=დედის ძმის] და მამიბილის სამფლობელოსთან ერთად მისი სახელიც დაუმკვიდრებია, კვირიყედ წოდებულა. ასეთ პირობებში სრულიად ბუნებრივია და გასაკები გაგიკ (=კვრიყე) კახთა მეფის მიერ კვრიყეს დისტულობით თავისი თავის მოხსენიება. კვრიყე დიდის დისტულობა გაგიკისათვის ლეგიტიმური საფუძველი იყო, ვითარება კახთა მეფისათვის.

ამგვარად, მიერიდეთ, რომ ძეგლის დამამტკიცებელი „კვრიკე მეფე დისტული კვირიყე მეფისა“ არის იგივე გაგიკ ქე სომეხთა მეფისა და ვითისი და დისტული კვრიკე „რანთა და კახთა მეფისა“.

ასეთი მოსაზრების მიღებით ჩვენ შოგმალეთ ძეგლის ფარაულობა—ის terminus post quem იიი' ი, რომელიც კურიე დიდის სტუდიაში მომდევნობდა იყო და აუგვინის მიზანი მელქისედეკის დაწერილის რაობისა და თარიღის მიღების შესახებ შემდევგა: „ხსენებულ სიგელს აქვს თარიღი — ქორონიკონი 240... მაგრამ ეს თარიღი ეხება სიგელის მხოლოდ მთავარ ნაწილს. სიგელის მთავარ ნაწილში მეღების დეკ კათალიკოზი სხვათა შორის სწერს: „ეს ყოველი (მცხოვისა) სოფელი... შესავალი იყუნენ და მე მოვაკესნე გამზრდელსა ჩემსა ბაგრატ ქურაპალატისა და შეუფალად გამიკადნენ“... ხოლო ამის შემდეგ კიდევ მთლიანად სიგელს ამტკიცებენ სხვა ბაგრატ კურაპალატი (აფხაზთა მეფე) და კვირიკე კახთა მეფე“. შემდეგ კაკაბაძე სრულიად მართებულად გამოიყენებს ამ ბაგრატ შეფის გაკურაპალატების თარიღს. (—1031 წ.), ვითარება terminus ante quem იიი ჩვენი ძეგლისა, ხოლო რაღვან ძეგლის მეორე დამამტკიცებელი „კურიე კახთა და რანთა მეფე მოულულ იქნნა ბაგრატ IV-ის მეფობის პირველ ნახევარში დაახლ. ორა უგიანეს 1040 წლისა“ (ქ. ცბა I, 223), ამიტომაც მელქისედეკ კათალიკოზის სიგელის მეორე ნაწილი უნდა იყოს მაშისადამ დაწერილი დაახლ. 1031—1040 წლებში“ (საისტ. ქრ. IV, 114 შენ.).

შემდეგ კაკაბაზე დე სამართლიანად აღნიშნავს, რომ „სიგელის მთავარ ნაწილში“ მოსაზრებული ბაგრატ (მელქისედეკის „აღმზდელი“) კურაპალატი და ალი ამირა არიან ბაგრატ III (გარდ. 1014 წ.) და მისი თანამედროვე ამირა ტულილისა და დასკვნის: „ყველაფერ ამის მიხედვით ჩვენ კლებულობთ ახალს თარიღებს მცხოვის ხანდრის სოფლების შეუფალად გახდომის შესახებ ბაგრატ III-ის დროს. თუთ მელქისედეკის კათალიკოზობა კი მოგის დაახლ. 1010—1035 წლ. ახლო ხანგისათვის“ (იქვე).

ჩვენ მიერ ზემოთ მიღებული დასკვნებიდან თვეის თავად გამომდინარეობს ს. კაკაბაზის თარიღების შესწორების საჭიროება. რომ 240 ქორონიკონი მიუღებელია — სულ ერთია, ეხება ის ძეგლის მთავარ ნაწილს, თუ ძეგლს მთლიანად, — ეს უკვე დაინახეს და დაამტკიცეს დ. ჩუბინაშვილმა, მ. ბროსემ და იქ. ჯავახიშვილმა.

მართლაც და, როგორ შეიძლება ქორონიკონი 240 (=1020 წ.) როგორც „თარიღი“ „ეხებოლებს“ ძეგლის იმ „მთავარ ნაწილს“, ხადაც რომანოზ კეიის რის მიერ ნაბოძეარი შესამოსელია მოსაზრებული? თუ ს. კაკაბაზე ჰქოიქრობს, რომ ეს რომანოზი მე-X

საუკუ. კეისარია და ორა მე-XI-სი, ეს, რა თქმა უნდა, შეცტრიქი სახუმი  
ბოლა. მაგრამ თუ საბუთის „მთავარ ნაწილს“ მთლიანათ უკრბა (სუ-  
კი, როგორც მთელ საბუთს), ხომ ორ შეიძლება ეს ქრონიკონი სამ  
ამ „ნაწილის“ როშელიმე მომენტს შეეხებოდეს?

ძეგლის აწინდელი აგებულობის დაცვის პირობებში ეს შეუძლე-  
ბელია. ქრონიკონი ს-მ ისეთ ადგილს არის, რომ ის შეიძლება შეეხე-  
ბოდეს მთელ „მთავარ ნაწილს“ მხოლოდ. წინააღმდევის დაშეებისას  
ჩენ უნდა დაუშეათ აგრეთვე, რომ ეს ქრონიკონი თავის ადგილზე  
არა და რომ ის ან ტექსტის სხვა ადგილიდან არის გადმომული  
(რაც ყველაზე ნაელებ დასაჯერებელია), ან აშინებან არის შემოტა-  
ნილი გადამშერის მიერ. თუმცა ძევე უნდა აღინიშნოს, რომ მნელია  
მთელ ამ „მთავარ ნაწილში“ გამოძებნა ისეთი მომენტისა, რომლის  
დაკავშირებაც 1020 წლითან შესაძლებელი იყოს.

ამრიგად, არსებულ პირობებში 240 ქრონიკონი შეიძლება  
შეეხებოდეს მხოლოდ ძეგლის „მთავარ ნაწილს“ მთლიანად და ამი-  
ტომ ეს თარიღი ყოფლად შეუწყნარებელია.

ერთად ერთი გამოსავალი ამ თარიღის გადასაჩინად არის  
მისი შესწორება ს-მთ ქრონიკონად (=1029 წ.), ე. ი. აღიარება,  
რომ XII ს-ის პირის გადმომშერშა შეცოთავა დაუშეა თარიღის რი-  
ცხიოს გადმოცემაში.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ძეგლის ტექსტის აწინდელი  
აგებულობის მიხედვით ეს ქრონიკონი სრულიად ან არის უადგი-  
ლოდ მოთავსებული, მაშინ ზემოთ ნაჩენები „ერთათ ერთი გამოსა-  
ვალი ამ თარიღის გადასაჩინად“ შეიძლება ერთად ერთ მისაღებ  
მოსაზრებადაც აღიკაროთ.

ამავე დროს, ვფიქრობთ, შეუძლებელია ეს ქრონიკონი მთელ  
ძეგლს ეხებოდეს. ასეთი დაშეებისას თარიღის შესასწორებლად ერ-  
თულების აღმნიშვნელი ასოს დართვა ამ ქრონიკონს აღარ უშეე-  
ლიდა: ძეგლის დამამტკიცებელი ბაგრატ კურაპალატი ძევა-  
დის ცნობილ წყაროთა დადგბითი ცნობებით მხოლოდ 1031 წლი-  
დან უნდა ყოფილიყო კურაპალატის პატივის ბატარებელი<sup>1</sup>. ხოლო  
თუ ათეულების აღმნიშვნელი მ-ანი ა-ედ შეეცყალეთ<sup>2</sup> მიეიღებთ

1) ქუას საამისო ცწობას ეთანხმება და აუსტბს დ. ბაქრაძის მიერ ზე-  
განმიზიში (საენტიში) ნაპოვნ ერთი წევნის ანტერიტი, დასწურა სეტერა ზედა ჰყონ-  
დითისას, აფიქსებ ღმერთობა, მეფობასა ბაგრატ კურაპალატისას ინდიკტოშისა  
ს: ნ: ა: კელითა იუვანე მესევტისათა. იშ. დ. ბაკრაძე. Статьи по истории  
и древностям Грузии. Приложение. LV т. З.И.А.Н. № 1, გვ. 112.

2) მ-ანის ნ-არად შეცველა საჭმეს ან უშეულითა. ამ შემთხვევაში საჭირო

ისეთ რიცხვს (=1040 წ.), რომა მელქისედეკი კარგი ხნის/უძრავული/ ცელებული თუ არა, დიდიხნით უწინარეს კათალიკოზობრივი უძრავი დამდგარი უნდა ყოფილიყო.

და, ჩაც მთავარია, ამ ქრონიკონის მთელი ძეგლის თარიღიად აღიარების პირობებში მისი მოთავსების ადგილი ქართული დიპლო-მატიკისათვის ყოვლად უზურულო და ამდენადვე უმართებულო იქ-ნებოდა.

ს. კაკაბაძე მ აღნიშნა, რომ ჩეენი ძეგლი ორი ნაწი-ლისაგან „შესდგება“; ამათვან „მთავარი ნაწილი“ დაწერილია 1020 წელს, ხოლო მეორე „დაახლ. 1031—1040 წლებში“. ამავე დროს მცელევარმა იცის, რომ „მთლიანად სიგელს ამტკიცებენ სხვა-ბა აგრძარ კურაპალატი და კვირიკე კახთა მეფე“<sup>2</sup>. ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ მცელევარი დასკამდა და გადაჭ-რიდა ბუნებრივად წამოქრილ კითხვას, თუ რას წარმოადგენს „მელ-ქისედეკ კათალიკოზის მცხეთისადმი მიცემული სიგელი“<sup>3</sup>? ორი ძე-გლის მცენიერები შეერთება ის თუ ორგანულად მთლიანი ძეგლია?

ჩეენი აზრით, ეს ძეგლი, თუმცა ორი ნაწილისაგან შემდგარი, ერთი ორგანული მთლიანია. ის, როგორც ასეთი, დაწერილია ერთ-დროულად და წარმოადგენს მელქისედეკის ანდერძს<sup>4</sup>, სა-დაც მოანდერძე მოგვითხრობს აგრეთვე მცხეთის საკ. საყდრის სა-სარგებლოდ მის მიერ გაწეულ მთელ საქმიანობას.

რომ ეს ძეგლი ერთდროულად არის დაწერილი და ერთს-დედააზრისებრ აგებული, ამას ისიც მოწმობს აგრეთვე, რომ ძეგლის „მეორე“ ნაწილში მელქისედეკი ამბობს: ვინც „ნაქმარი და გან-წესებული... რომელ ზემოათვან ქუემომდენ დაგვწერია... აქციოს... ანუ აღაბი ჩემი და ძმათა ჩემთა შეცეალოს, პრისხავსმცა“ იქნებოდა ერთეულთა აღმნიშენელი ასოს დართვაც, რადგან ბაგრატის „კურაპა-ლატობა“ 1030 წელს იდევ საცხოვა, როგორც 1029 წელს.

1) ს. კაკაბაძე აქ მ. ბროსე ს აზრს იმორჩებს: იხ. H de la G. p. 316.

2) აქ კაკაბაძე გამნიგენდება ბრისესაგან. უკანასკნელი ფიქრობდა, რომ ამ ძეგლში მელქისედეკი კათალიკოზის მიერ თავისი სულისათვის გამწე-სებულს შეეხდა მთლიან და არა „პირველ ნაწილში“ სამოთელის მის საქმია-ნობას. იხ. იქვე.

3) ამ მზრით ფრიად საყურადღებოა მცხეთისედეკის გამოთქმა: „ასე ხიცოც-ხლება ჩემსა განეაცე“ სტრ. 90. ჩეერ მიერ ხასგასმული სიტყვა სრულიად უახრო და უადგილოა მისი აწინდელი შინაარსით გაცემული, ხოლო სრულიად ბუნებრი-ეო და აუცილებელია ის ამ ძეგლის ანდერძად გაცების პირობებში. ანდერძის და-დებისას მოანდერძის „კუცოცხლე“ ე. ი აზავადმყოფება (ცოცხალი=ტანმრთვლი) აუცილებლად უნდა აღნიშნული ყოფილიყო, რათა მის ნაანდერძეც კანონიერი- ძალა ქვინოდა.



და სხვ. (იხ. ტექსტი, სტრ. 124—25). ამავე დროს ჩეკენ ფრთის ჭურავ მელქისედეკს „მათა მისთა ალპი“ ძეგლის მეორე ნაწყლითაც ყველა განუწევებია არამედ „პირველში“. (სტრ. 62—64).

ძეგლის ამ ორგანიულ მთლიანობაზე, მის ერთდროულად დაწერილობაზე ზიგვითითებს აგრეთვე შემდეგიც: „პირველი ნაწილის“ ბოლოს მელქისედეკი მიქმართავს მის შემდგომ მყოფად კათალიკოზთ: ენიც „იხილნეთ ნაქმარნი ჩემი წმიდასა ლოცვასა თვეენსა მომიქსენეთ“-ო და სხვ. (სტრ. 85). იქვე „მეორე ნაწილის“ დაწყებისას მთელი „პირველი ნაწილის“ შესახებ ის ამბობს: „და ამათ ყოველთა ნაქმართა ჩემთა შემდგომად“ (სტრ. 87) ჩემი სულის საქმე განვაგეო და სხვა. აშეარაა: მთელი ძეგლი ერთდროულად იწერება და „პირველ ნაწილს“ მელქისედეკი ნაქმარს უწოდებს.

ხოლო მას შემდეგ რაც ძეგლის „მეორე ნაწილში“ მოგვითხრო, თუ რა და რა განაწესა თავისი სულის სალოცავად და სოქეა: „ესე სიცოცხლესა ჩემსა განვაგე-ო (სტრ. 99), — ამის შემდეგ ის არც ერთხელ მის მიერ შექმნილ საბუთს ერთი ტერმინით არ იხსნიებს: „ვინცავინ... პნახნეთ ნაქმარნი ეს ჩემი განგებული ტ განწესებული“, ნაქმარი ტ განწესებული“, „დაწერილი, ტ განგებული“, დაწერილი ტ განგებული (სტრ. 117, 121, 134, 137). ყველა აქიდან, ვფიქრობთ, მართებულია დაესკვნათ, რომ ძეგლის „პირველი ნაწილი“ აქ იგულისხმება „ნაქმარ“-სა და „დაწერილი“-ს ქვეშ, ხოლო მეორე ნაწილი „განგებული“-სა და „განწესებული“-ს ქვეშ.

ასევე ესმოდათ ეს ძეგლის დამამტკიცებელთაც. ბაგრატიონ: მელქისედეკს „დაუწერია და საქმე სულისა მისისა გ გ უ გ ი ა“ (სტრ. 139—140), კვირიკე მეტით: კათალიკოზს „სულისა მათისათვის გ გ უ გ ი ა ტ დ ა უ წ ე რ ი ა“ (სტრ. 143); ამის მომდევნო დამტკიცებაში: მელქისედეკს „დ ა უ წ ე რ ი ა ტ გ ა უ გ ი ა...“ (სტრ. 149). იძადება კითხვა: თუ ძეგლი მთლიანია და ერთდროულად დაწერილი, მაშინ რაღა აზრი ჰქონდა შეაში თარიღს, რომელიც მთელ ძეგლს არ შეიძლება შეეხებოდეს?

ამ კითხვის შეაჩის უპერს თითქო ძეგლის აგებულებაც: იქ, სა-დაც ეს ქრინიკონია, ძეგლი თითქო სრულდება 15-ზის მიმართვა მის მეტყვიდრე მყოფად ხელისუფალთადმი) და შემდეგ ახალი რამ იწყება (სტრ. 83—86 ტ შრ.).

უპეველია, ეს ძეგლი მისი აწინდელი სახით გარევნულად მართლაც ორი საბუთის შეერთების კეალს ატარებს. მაგრამ ჩეკენ უკი

დაურუშენდით, რომ მისი შინაგანი მთლიანობა საღამო არ ატაქირებულა  
ამიტომ ჩვენი პასუხი ზემო კითხებაზე შეიძლება იყოს უმცირესი მასა  
დევის ამ ანდერძის წარმოშობამდის არსებობდა მისივე „დაწერილი“  
მცხოვის საყდრისაღმი, სადაც მოთხოვობილი იყო მთელი მისი საექ-  
ლესიო-სამეურნეო საქმიანობა. ასეთი რამ შედგენილი იყო 1029 წელს.  
ამის შემდეგ მელის ესედევი ი იქეობს ეკვდერს, გაიჩინს სამარა-  
დისთ მწირველს, რომელსაც უზრუნველყოფს საშეილიშვილო „გასა-  
რომელით“ და სწერს ანდერძს, რომელშიცაც ბუნებრივიად შედის მო-  
თხოვობა მთელი მისი სამეურნეო-საექლესიო საქმიანობის შესახებ,  
ე. ი. მისი პირველი „დაწერილიც“. მაგრამ შედრს არა მეტანიუ-  
რად და სრულიად უცვლელად, არამედ შეცვლილი, თუმცა არც ისე  
საფუძვლიანად, რომ მისი კვალი ვერ შევამნიოთ. ასეთია, ვფიქ-  
რობთ, საბუთის დასაწყისში მელქისედევის განცხადება: „ესე და ა-  
წერილი მოვა ესენ და შეესწირე“ სვეტიცხოვლისა. რო-  
გორც სახელი „დაწერილი“ ისე „მოესენება და შეწირვა“ საუცხო-  
ვოდ შეფუძვება და გამოხატავს ყველა იმას, რაც „პირველ ნაწილ-  
შია“ „ნაქმარი“ და არა იმას, რაც მის „მეორე ნაწილშია“ „განვე-  
ბული“ და „განწესებული“. ასეთიერ ნაკვალევია მელქისედევის მიმარ-  
თვა „პირველი ნაწილის“ ბოლოს მის შემდგომ მყოფად კუთადმი ტ  
ქრონიკონი: ს. მ: ორივე ეს აწინდელი ძეგლის მთლიანობის თვალ-  
საზრისით ზედმეტია. ამ მიმართვით ტქრონიკონით სრულდებოდა,  
უნდა ვიფიქროთ, მელქისედევის მცხეთისადმი „დაწერილი“.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს: ძეგლის „მეორე ნაწილის“  
დაწერილობის თარიღი არის მთელი ძეგლის თარიღიც; ეს „მეორე  
ნაწილი“ ცალკე არას დროს არ დაწერილა.

როდის არის ეს ძეგლი შესრულებული?

ს. კაკაბაძის „არა უდრევის“ (terminus ante) მართებული  
და მისაღები ჩანს: ბაგრატ IV-ის მიერ კურაპალატობის პატივის  
მიღების უწინორეს შეუძლებელია ძეგლი დამტკიცებითს ბაგრატ  
აფხაზთა მეფესა და კურაპალატსა“. ამ პატივის მიღება კი მოხდა  
„წელსა მესამესა“ რომანთ ჭისრის გამეფების შემდეგ (ქ' ცა  
256 \*482 და 361 \*592. შდრ. ს. კაკაბაძე; ხაისტ. კრებული IV,  
loc. cit.) ე. ი. 1031 წელს. ამასვე ადასტურებს ზემოთ ჩვენ მიერ  
მოყვანილი 1031 წელს გადაწერილი ხელნაწერის ანდერძი, სადაც  
ბაგრატი უკვე კურაპალატიდ იხსენიება.

ს. კაკაბაძის „არა უგვიანესის“ (terminus post) შესახებ  
ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი ძეგლის დამტკიცებელი კვი-  
რიკე მეფის კინაობის მიებასთან დაკავშირებით. ამ აკვირიე შე-



ფის\* გაგიყოან გაიგივების შემდეგ კვირიკე „რანთა და უქოჩიშ შეუძინულებელი ფის“ გარდაცვალების ს. კავაბაძის სეული თარიღი — 1040<sup>ტ.</sup> წ. დამატებით კიდებლად იმისაგან, რომ ეს თარიღი მიუღებელი ჩანს აგრეთვე, როგორც კვირიკე „დიდის“ გარდაცვალების (წელიწადი), ვითარცა „არა უგვიანეს“-ი ჩვენი ძეგლისა, მიუღებელია.

რომ 1030 წელს მელქისედეკი ჯერ კიდევ კათალიკოზობდა, ეს უდავოდ ჩანს გრიგოლ ლითოსმეტყველის ქმნილებათა და ვით ტბელიძის სეული თარგმანის გადმიშვრის ანდერძიდან<sup>1</sup>. 1033 წელს კი ქართლის კათალიკოზად ითანე იხსნიება (*Matser. no Apxx. Kasik. vyp. X. Приложение* გვ. 10—11, მესტიის სახარების ანდერძი). საფიქრებელი იყო, რომ ეს ცნობა, რომელიც ერთხელ უკვ შეიწყნარა ს. კაკაბაძე<sup>2</sup>, აიძულებდა მკლევარს ანგარიში გაეწია მისთვის „მელქისედეკ კუს სიგვლი“-ს დათარილების ღროსაც. მაგრამ რაღაც მიზეზის გამო ის ამას არ სჩადის<sup>3</sup>.

ჩვენი ძეგლის დაწერის დროს მელქისედეკ, უეპელია, მოქმედი კათალიკოზია და არა კათალიკოზობიდან გადამდგარი (იხ. ზემო შენიშვნა). ამიტომ, რადგან 1033 წელს ქართლის კათალიკოზი არის ითანე, ამ ძეგლის „არა უგვიანესი“-ც აღნიშნული წელი უნდა იყოს.

საბოლოო დასკვნით: მელქისედეკ კუს ეს ანდერძი შესრულებულია 1031—1033 წლებში, ხოლო ამ ძეგლში შეტანილი „დაწერილი“ მისი პირვანდელი სახით მელქისედეკს ჯერ კიდევ 1029 წელს დაუწერია.

1) თ. ეთოდანია, *Опис. рукоп. перк. музея I*, 1—2 და მისიც ქრონიკები, I, 169. „ქრონიკებში“ აღნიშნული, ჩვენი ახრით, სამართლიანი, დაკიორება ამ ანდერძში მოხსენებულ წლთა სათვალავების სხვადასხვაობის შესახებ თ. ეთოდანიამ თავის „*Описаниე*“-ში არ ვამსუბარა და ფატეტიურად უარყო. ს. კაკაბაძე უპირატესობას აღლებს „*Описаниე*“-ში მიღებულ ფარდამისაც თარიღს.

2) იხ. საისტ. კრებული I, 1928, საფაც მკლევარი სარგებლობს ამ ცნობით „X—XI ს-ნის ქართლის კათალიკოზთა სიის“ დადგენის დროს. გვ. 101.

3) ჩამ არ ფიქრობს ს. კაკაბაძე, რომ უსიველის მეორე ნაწილი<sup>4</sup> შეიძლება შესრულებული იყოს მელქისედეკის კათალიკოზობიდან გადამდგარიბის ქამის მაგრამ ასეთი მოსახრების კატეგორულად საწინააღმდეგო მოწმობას იძლევა თვით ტექსტი: მელქისედეკი, როგორც მოქმედი კათალიკოზი მიმმართავს მის შემდეგ მყოფად მესაპეტას მცხოვრის საყდრისა: „აშ წიმიდან მღდელთ-მოწმუნართა მთავარობის რომელი შემდეგობად ჩვენი ჩა (ჩანი ჩვენია) და შემდეგობითი შემდეგობად ღირს იქმნეთ წინამღდერად წიმიდასა ამას კათოლიკე კლესიკას“ და სხვა.

ძეგლის დათარილებით<sup>1</sup> ჩევნი ამოცანა არ შესრულებულია, ამასთან და იმისა, რომ ტექსტი ისეთ მომენტებს შეიცავს, რომელიც მარტინ პირების შედეგი არაა, ის იქა-იქ ნაკლულებინცა და დამახინჯებულიც გვერდება. ამთო აღნიშვნა-დადგრა მაინც (თუ აღდგენა ვერ) გამოცემის პირდაპირი დაწიშნულებაა.

ს. კაკაბა ძე მ სამართლიანად აღნიშნა, რომ მცხეთის მამულებისადმი შეუვალობის მიმნიჭებელი ბაგრატ კურაპალატი, რომელსაც მელქისედეკი თავის „აღმშრდელს“ უწოდებს, არის ბაგრატ III (საისტ. კრებ. IV, I. c.). იმის შესახებ, თუ როდის უნდა მიენიჭებია ამ მეფეს სსენებული შეუვალობა, შეიძლებოდა ერთი მოსაზრების წამოყენება. მელქისედეკი ამბობს: „რომელი სოფელი ძუელად ჭქონდეს ამას წმიდასა დედაქალაქსა, შესავალი იყუნეს რ მე მოვაუსნე გამშრდელსა ჩემსა ბაგრატ კურაპალატსა და შეუვალად გამოიყადნეს“ (სტრ. 76—78). შემდეგ კათალიკოზი მოგვითხრობს, თუ როგორ „მოუგდო“ ალი ამირა ამ „რომელი ქალაქისა გასავალი იყო წმიდისა ამის დედაქალაქისავან“ (სტრ. 79—80) ბუნებრივია კითხვა: განა ჰერეთ-კახეთში მცხეთის საკუთხო ეკლესის მამულები არა ჭქონდა? უკეთელია ჭქონდა, რომ ეს სოფლებიც „შესავალი“ იყენენ. მაშ რატომ არ „მოაუსნა“ მელქისედეკ კუთა „რანთა და კახთა მეფეს“ და თუ „მოაუსნა“ რად არ იხსენიებს? აյი ბაგრატის გვერდით ალი ამირა არ დაიიღისა? პასუხი შეიძლება იყოს: კველაფერი ეს ხდება იმ დროს, როცა ბაგრატ III-ეს ხელი მიუწევდება როგორც ქართლზე, ისე ჰერეთ-კახეთზე ე. ი. მის შემდეგ, რაც მან „დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი, წარმოიყანა კვირიკე, დაიმშირა თვესა კარსა ზედა“ (ქ. ცხ. 243\* 470). უკანასკნელ ამბავს აღვილი ჭქონდა, როგორც აღნიშნეთ, 1011 წელს. აი ამ წლიდან ვიდრე 1014 წლამდის, უნდა ვიუიქროთ, შეუვალობა მიანიჭა ბაგრატ მეფემ მცხეთის მამულებს, როგორც მესხეთსა და ქართლში, ისე ჰერეთ-კახეთშიც. ამავე ხანებში „ამოუგდო“ ალი ამირამ რაც „ქალაქისა გასავალი იყო წმიდისა ამის დედაქალაქისავან“.

ამ მოსაზრების გაზიარებით დასტურდება აგრეთვე მელქისედეკის კათალიკოზად კურთხევის საერთოდ მიღებული თარიღი— 1010 წელი.

1) ამ თარიღების შეწნარების შემდეგ სავალდებულოა ორი სხვა ქრისტოლოგები დასკუნავ: ეკირიკ რანთა და კახთა მეფე უნდა მოყლელიყოს უწინარეს 1083 წლისა; ტ მელქისედეკის კუთხის დასასრულის terminus post-იც ივეკე 1083 წელი.

ძეგლის დამამტკიცებელთა ერთობის შესახებ ნაწყლუროზუდა-გა ჩვენ ჩვე გვქრონდა საუბარი. ბაგრატ კურაპალატისა (=თეიუფიშის მიზანი რატ IV, 1027—1072) და კეირიკე მეფის (=ვავიკ ქე სომებთა მე-ფისა დავითისი) გარდა ძეგლს ამტკიცებს ორი კათალიკოზი.

ერთი ამაოგანის ვინაობა სადათ არ არის. ის არის ქართლის კათალიკოზი თქმოთ მი რომ პირი 1, რომელიც კარგად არის ცნობილი სხვა წყაროებიდანაც<sup>2</sup>. ის ჩანს 1045 და 1048 წლებში.

ძეგლის დამამტკიცებელი მეორე კათალიკოზი თავის თავს სახელით არ იხსენიებს, მელქისედექს კი ის თავის „გამზრდელსა“, „შემოქმედს“ და „მამას“ უწოდებს. საინტერესოა, რომ ოქროპირიც თავის „მამად“ იხსენიებს მელქისედექს. მ. ბროსე და ს. კაკაბაძე ამ უსახელო მღვდელმთავარს ითანებ კათალიკოზად ჰყულის-ხმიბენ. ბროსე არ ასახელებს წყაროს, რაზედაც ეს თავისი მოსაზრება დაამყარა (H. de le g. I, 312, n. 1). ს. კაკაბაძე ჩვენი ტექსტის უორდანისას უსულ შემცირ წაკითხვას ემყარება, მისი ასეთივე შემცირი შენიშვნით სარგებლობს და ამ, ასე ვთქვათ, მისთვის ფუძე-მდებელ ცნობებშე მითითების შემდგომ ერთს დადებითი ხისიათის ცნობასაც იშველიებს—მესტიის სახარების ანდერძს—, სადაც ითანებ ქ. კათალიკოზი მართლაც იხსენიება 1033 წელს (სასტ. ქრ. IV, 101).

როგორც ჭინამდებარე ტექსტიდან დაინახავს შეითხველი, იქ ითანებ კათალიკოზის ხსენება არ არის და ამ „რეცა სახელით კათალიკოზი“-ს მესტიის სახარების ანდერძში მოხსენებულ ითანებ ქართლის კათალიკოზით გაიგივებას იმდენი „პო“ შეიძლება ახლდეს, რამდენიც „არა“.

პირველ ყოვლისა უკველია, რომ ეს უსახელო ქ-ზის დამტკიცება სრული არ არის. მას კრულობითი ნაწილი აკლია და არაბუ-

1) როგორც დ. ჩუბინაშვილს, იყ თ. უორდანიასაც შეეთომა მოსდივით ოქროპირის წილგმულობის წაკითხვაში. ხელაწერში მოცემული: ქ-ქ: მ-რ-ქ: ქ-ქ: ქ-ქ: ა-ქ-ისა თქმობირსა“, სტრ. 157, მათ გაუხსნიათ: „ქრისტეს მიხრ კათალიკოზისა თქმობირსა“ და „ქართლისა“-ს აღმინიშვნელი: ქ-არ კა უცულებელ-გაყიდვათ; თ. უორდანის გამოცემას დატყურა აკ. ნიკ. მარი და „ოქროპირ კათალიკოზი“ აფხაზთას „ადვილობრივ კათალიკოზად“ აღიარა (იხ. ცერк. ხედ. მოს. № 3. გვ. 137, 1907).

2) Д. Бакрадзе Сванетия, 93—94 ლაშოვერის სახარების ანდერძი Сборник мат. для опис. мест. и племен Кавказа XLIII. ლაშოვერის სახარების ანდერძის მიხედვით 1048 (თუ 1046?) წელს ოქროპირი თუ უკვე გარდაცვლით არა, მოდლენებული მაიც არის: ამ დროს სტეფანე სუცესი პალატიკოლი (ქართლიდან) „დაწესე“ „მწირველად ქართლისა კათალიკოზისა თქროპირისა“.

ნებრივად წყდება. შემდეგ, საყურადღებოა, რომ დამატებულებები და განვევლება თავის თავს არ ასახელებს.

ასევე დამატებულებელია, რომ ოქროპირი, რომელიც ამ „ქ-ზი“-ს შემდეგ ამტკიცებს მელქისედევის „დაწერილსა და განვებულს“, არც ამ დამტკიცებასა და არც მის ავტორს არ იხსენიებს, მაშინ როცა მას არ ავიწყდება ყველა სხვა დამტკიცებამა მოხსენიება, იძალება ეპიზოდი: ხომ არ შეიძლება ეს ნაკლები დამტკიცება ოქროპირ ქ-ზის დამტკიცების ნაწილიად (=დასაწყისად) მივიღოთ? მაგრამ ასეთ შესაძლებლობას ამ დამტკიცებების აგებულობათა მთლიანობა გამორიცხავს: მათი შეერთებით ჩევნ უოვლად შეუწყნარებელ განშეორებებს მიეკიდებდით.

ამიტომ იძულებული ვართ აღვიაროთ: ეს დამტკიცება დამოუკიდებელია და ის მაშინაც იყო, როცა ოქროპირი ამ საბურის ამტკიცებდა (ჩევნ, რა თქმა უნდა), ვგულისხმობთ, რომ ოქროპირმა ეს ძეგლი დამტკიცა მეღ ქისედეკის გარდაცვალების შემდეგ უკანასწელის მწირველის, იოანეს თხოვნით).

თ. ეორდან იამ სკადა ამ უსახელო კათალიკოზის სახელის ამიეკითხვა უწნობურ გამოთქმაში „ქ-პ (=ოქროპირ) (ქრონიკ. II; 35 შენ. \*\*). შემდეგ ერთი სადათ ცნობის მოპოვების გამო ეს თავისი წაყითხვა უარყო და XVII-XVIII ს-ის პირის თანახმად ქ-პ—გამოთქმა „ქართლისა პატრიაქი“-დ შეიწყნარა (იქვე, 95, შენ. 4). დ. ჩ უბინა შეიღლება როგორც უკეთ მოვიხსენიეთ, „ქ-პ“ გამოთქმა „ქორონიკონი პ“-იდ წაყითხვა. ორივე წაყითხვა „ოქროპირი“-ცა და „ქრონიკონი“-ც შემცირია და მიუღებელი ჩანს, როგორც ფორმალურად, ისე ნივთიერადაც. მაგრამ არც XVII-XVIII ს. პირისეული წაყითხვა „ქ-პ“ გამოთქმისა „ქართლისა პატრიაქი“ ჩანს უცკეცელი.

ძნელია ისეთ პირობებში მსჯელობა და მით უფრო რაიმე დასკვნათა მიღება, როცა თვით ტექსტის სისწორეში არა ვართ დარწმუნებული, ხოლო მისი შესწორების საშუალება კი არა ჩანს. ამიტომ ჩევნ მიერ ამ საკითხის გარშემო გამოთქმული მოსაზრებანი და შესაწყნარებლად წამოყენებული დასკვნანი მხოლოდ პირობითი შეიძლება იყვნენ.

მაგრამ ჯერ ითან ე კათალიკოზის შესახებ.

როგორც აღნიშნეთ, იოანე ქართლისა კათალიკოზი მოხსებულია 1033 წელს გადაწერილი მესტიის სახარების ანდერში. არც შეეხება თ. ეორდან იას მიერ ნაჩვენებ სხვა წყაროებს: „შე-XIII საუკუნის სიგლის მოწმობა (ქრონიკ. II, 95-96), კარბელა შეიღლის



მიერ გადმოწერილი მინაწერი „სტოდიისა<sup>1</sup>, შიომღვიმესა<sup>2</sup>, გადაწერილ ხელნაწერში დაცული კათალიკოზთა სია<sup>3</sup>,— უკავებ სადაო ხასიათის მოწმობებია და თეთი შოთაოვენ შექმავლა-დათარილებას. მეორე დაცებითი ხასიათის ცნობა ითანა ქართლის კ-ზის შესახებ XI ს-ის პირველი ნახევრისა ფოკათა (ჯავახეთში) ეკლესიის წარწერაა:

I სამხრეთის კარის ზემოდან საუცხოვოდ მოჩუქურობებული ჯვარის მარჯვნით ლამაზი მსხვილი ასომთავრულით:

ქ-ე ძ-ო და სტ-ყო ღ-თ-სო ად-ე ჭ-ოვ-ნე ოქრ ი-პრი ქართ-ლ სა კ-თლ-ჭ-ი თ-რთავ ე შ-ნა ცხ-რ ებთა ა-ნ.

ე. ი. „ქრისტე ქ-ე და სიტყვაო ღმრთისაო ადიდე ხოვანე-ოქროპირი ქართლისა კათალიკოზი თ-რთავე შინა ცხოვრებათა ამინ“.

II. ამავე ჯვარის მარცხნით წინაწარწერის გასწურივ, ისეთივე ასოებით:

ქ-ე ა-დ დე ბ-გ რ-ატ კორპ-ლტი, ე. ი. -ქრისტე ადიდე ბაგრატ კორპალატი“.

III. იქვე კარის მარცხნივ ედელშე, ცალქ:

[სახ]თა ღარა მე ბე[რ]ელი ღრს „სახელითა ღმრთისახთა მე ბევ-ვიქმ შებ[სა] წ-ხა ამს ექა სა- რელი ღირს ვიქმენ შენებისა წმი-ფძლი[დაიღ]ე მე თნა დაეში კ დახსა ამის ცლესიისა საფუძველი ე[ლსნ]ი ვუვ იქროპირსა ქ-ზისა<sup>2</sup> დაიღვა მე თანა დაეშეურ ეკლო-სანი ვიყვა იქროპირისა ქართლი-სა კათალიკოზისა“.

ცხადია, ფოკათა ეკლესიას აგებს ქ. ქ-ზი ი თან ე-ოქროპირი ბაგრატ შეფის კორპალატობის ეაშ ე. ი. XI ს-ის პირველ ნახე-ვარში, ან უფრო დაახლოებით, 1031-1053 წლებში.

ამავე წარწერებიდან ცხადია, რომ იქროპირ კათალიკოზს ერ-ქვა ითანა ან უკეთ: ითანა ერქვა იქროპირი<sup>1</sup>, და რომ ეს ითანა-

<sup>1)</sup> „ივერია“ 1889 წლისა № 30, პროფ. ჟ. ე კ ე ღ ღ ი დ ე ა მ ი თ ა ნ ე ს XII ს-ში ჰაულისმობას მეუვ დემეტრე დავითის ძის ღრის.

<sup>2)</sup> ქრისტები I, 50. ს. კავაბ-არი ს ანგარიშით ამ სიის არც ურთი პირი XI ს-ის პირველ ნახევარს არ კუთხოვნის (სიისტ. კრებული, I, 102).

<sup>3)</sup> ფრჩხილებში მოთავსებული განვებ არის ამოთლილი; ასეთი ბოროტმოქ-მედების სამწერაო წარწერანი გადასცანა-ც გვევდება ჯავახეთში.

მოყვანილი წარწერანი გადმოღებულია 1927 წელს საქ. საისტ. საეთნ. სა-ზ-ბის დაზმარებით ჯავახეთში მოწყობილ საარქოლოგიო მოგზაურობის დროს, სადაც მონაწილეობდებო ასპირანტები: ლ. მუხრანიშვილი, გ. გორგალიშვილი, ა. წე-რეთელი, ს. ჯიქია, ი. ცინცაძე და ამ სტრიქონების ავტორი.

<sup>4)</sup> ეს იცის ანტონ კათალიკოზმაც; „იოვან ე პს-თ ძეა მამა მეგარ პირველ,

ოქროპირი ზოგჯერ მხოლოდ ოქროპირად ისახიდიდოდა. მოსახურები ებლა, თუ კი მხოლოდ „ნართაული სახელით“ შეიძლება მართვა სახისი ბულიყო ეს კზი, რატომ არ შეგვიძლია დაუშვათ, რომ იგი კი იმანე-ოქროპირი ზოგჯერ მხოლოდ ითანედ წოდებულიყო?

ამგვარად, ჩვენი მოსახურებაა: მელქისედეკის უშუალო მე-შეკიდრე მცხოვრის საკ-ზო ტახტზედ იყო ითანე კზი, რომელიც აგრერვე ოქროპირადაც იწოდებოდა<sup>1</sup>. ის ჩანს 1033-1048 წლებში.

თუ ეს ასეა, მაშინ კინღაა შელქისედეკის დაწერილ-განგებულის დამამტკიცებელი ეს უცნობი „რეცა კათალიკოზი“?

მაგრამ ჯერ ამ დამტკიცებაში მოყვანილი: ქპ:—გამოთქმის შე-სახებ, რომ ეს არ შეიძლება იყოს „ქორონიკონი პ:“, თუნდაც „ს-ანის ჩართვით, =1060 წ.—ეს ყოფლად უდავრა: მისი მომდევნო და-მამტკიცებელი კ-ზი ოქროპირი ამ შემოხვევაში 1060 წლის შემდეგ უნდა გვეცულისხმა, რაც შეუძლებელია: 1058 წლს უკვე ვიორგი კა-თალიკოზობს (თ. ეთრ. დანია, ისტ. საბ. შიომღვიმის მონ., 3-5).

რომ არც „ოქროპირი“ შეიძლება დავინახოთ ქპ: გამოთქმიში, არც ამას უნდა დიდი შტკიცება: ოქროპირი სწორედ ამის შემდეგ ამტკიცებს ძეგლს.

არც „ქართლისა პატრიაქი“ გვეჩერენება დამაქმაყოფილებელ წა-კითხებად „ქპ“ გამოთქმისა. თავი რომ დავანებოთ წინადადების უხე-ირო და უკვეულო წყობას („მეცა გლახაქა ულირსსა რეცა სახე-ლით კათალიკოზსა დამიმტკიცებია ქართლისა პატრიაქსა“), როგორ-საც ასეთი წიკითხვისას მიერიღებდით, საქმე ისაა, რომ ეს „რეცა სა-ხელით კათალიკოზი“, რომელსაც კადნიერებად მიაჩინია მისი „გამ-ზრდელისა“ და „შემოქმედის“ მელქისედეკის „მამად“ წოდება, უკანასკნელს მხოლოდ კ-ზად მოიხსენიებს. ძნელი დასაშევებია, რომ მას იქვე თავისი თავისითვის „ქართლისა პატრიაქი“ ეწოდებია, სა-დაც მელქებიდეს მარტივად „კ-ზს“ უწოდებს, ხოლო თავის თავს „კ-ზის“ სახელის ტარების ღირსადაც კი ვერ სოვლის. ას რომ ხე-ნებული გამოთქმის გასაგებად, ჩვენი აზრით, სხვა გზაა საძიებელი.

ეფიქრობთ, ერთ-ერთ მოსახურებად შეიძლებოდა წამოგვეუნე-ბია ამ ადგილის შემდეგი წაკითხება: „მეცა გლახაქა ულირსსა რეცა სახელით კათალიკოზსა დამიმტკიცებია. ქრისტემან პირ მტკიცებ ყავნ

ვინ თქმობირი ინართაულისახელია“—წყაბილის \*ყუაბილან. მომყავს კარბ ე-ლაშვილის ამონაშერით.

<sup>1)</sup> თ. ეთრ. დანია, თოთექის ეპეობს ამასვე, თუმცა ნათლად არ ამბობს, მან იყის და აღნიშვნავს, რომ „ითანე და ოქროპირ ქრისტ-და-იგოვე სახელია (ქრონ. II, ში, შემ. 4).



ბრძანებად მათი და ეინტერესული ბრძანებამ უმოადნა  
ქრისტენობაგანმან კაცმა...“ (სხვა აქლია). რა თქმა უნდობაზე მდებარეობა  
არის წირმოდგენილ წაყითხვაშიაც (ასეთი პატივის უსეულობა,  
„მტკიცება“-ს ნაცელად „მტკიცება“-ს მოსალოდნელ ობა), მაგრამ ჩვენი  
წაყითხების თანმხლები სიძრელენი იდეილად შეიძლება გადამტერის  
შეცორვას მიეწეროს, საშაგიეროდ ფორმალურ-ნივთიერი დაბრუო-  
ლებანი ამ წაყითხების დროს მოსხილია...

ესდა, თუ კ-ზი იოანე იგივე ოქროპირია და უკანას-  
ქნელი გარკვევით ჩანს მეორე დამტკიცებაში, ვინაღა ეს პირველი  
დამტკიცების სუბიექტი — „რეცა სახელით კ-ზი“?

ჩვენ შესაძლებლად მიგეაჩნია დაუშეათ, რომ ის „აუხაზეოთის“  
კ-ზია, რომელიც ძეგლის დაწერის თანმედროვეა და მელქისედევის  
სიცოცხლეშივე ამტკიცებს შეს. რაც შეეხება ოქროპირის დამტკიცე-  
ბას, ის უნდა ვითქმიროთ, მეღმებისე დეკის გარდაცვალების შემ-  
დეგ არის შესრულებული.

საყითხს იმის შესახებ თუ რა ხელი ჰქონდა აფხაზეოთის აღვი-  
ლობრივ კათალიკოზს მელქისედევ ქართლის კ-ზ პატრიარქის საქ-  
მიანობასთან, — ამ საინტერესოს მაგრამ ჯერ შეესწავლელ საყითხს  
ჩვენს შემთხვევაში ადვილად მოუვლება: საშუალება გვაქვს მიუთითოთ  
ანალოგიურ ფაქტზე: XIII საუკუნის ერთს „დაწერილს“<sup>1)</sup>, რომლი-  
თაც მიქაელ ქართლისა კათალიკოზი სოფელ ორმიაშენს უწყალო-  
ბებს მცხეთის სახლის მსახურო-უხუცესს ვაჩე გუარაბას ძეს მე-  
ფეთა და თეთი მიქაელის დამტკიცებათა შემდგომ „დაწერილს“ ამ-  
ტკიცებს „მრწერი სიწმიდითა მათისა [ე. ი. მიქაელ კათალიკოზისა]  
გლოხაერი არსენ“, რომელიც არის აფხაზეოთის კათალიკოზი არსენ  
ბულგაძისიშის ძე<sup>2)</sup>.

ამით შევეძლო ჩვენი მოქარბებული საუბარი დაგესარულებია,  
რომ ერთი გარემოება არ გვაიძულებდეს ჩვენი ძეგლის ერთი არსე-  
ბითი ხასიათის შექმნარების შესაძლებლობაზე ჩამოვავდოთ საუბარი.

ს. კაკაბაძეშ თავის წერილში: „როდის არის აშენებული  
სკეტი-ცხოვლის ტაძარი“ (სისტორიო კრებული წ. I, 95-107) გა-

<sup>1)</sup> ს. კაკაბაძე, „მე-XIII საუკუნის პირველ ნახევრის საქართველოს კათალი-  
კოზები“, გვ. 5-7.

<sup>2)</sup> ამ არსენ ბულგაძისიშის ძეს თ. უზრდანია, ს. კაკაბაძე და ჟ. ექვლინქ-  
ქართლის კათალიკოზად ჰქონებენ. ცვლა ამათი საბუთოანობის განხილვა აქ შორს  
შაგვიფახდა. ამიტომ იძულებული ვართ, უხერხულობის მოუხდევადა, მეოთხველის  
მოუთითოთა ერთს ჩვენ გამოუქენებულ ნაზრიმშე: „ქართული სავაზიროს გერმი-  
სის საკითხები“, სადაც სხვათა შორის განხილულია საყითხი არსენ ბულგაძისიშის ძის  
გონიობის შესახებ.

ნაცხადა: „რომ 1020-1031 წლებში მცხოვრებ მელქის ეჭვერცი გვიაზე თაღლიოს არ ცეკვის სვეტი-ცხოვლის აშენება, ეს ცახაში უსისმავა მის მიერ 1020 წელს მიცემულ სიგელიდანაც“ (იქვე, 103).

მართლაც და, სვეტი-ცხოვლის აშენებაზე მელქისედევის დაწერილში არაფერია ნათქეამი. მაგრამ გვაძლევს თუ არა ეს გარემოება შევავსი დასკვნის გამოყენის უფლებას? უფიქრობთ—არა.

ჩვენს ძეგლში არც ის არის ნათქვამი, თუ ვინ ააშენა სვეტი-ცხოვლი და არც ის,—რომ ეს ტაძარი ჩვენი ძეგლის დამდებ მელქისედევს არ იცემენებია. რომ ჩვენი ძეგლი პირმშო დედანი იყოს, ს. კაკაბაძის *argumentum ad silentium*<sup>1</sup> მართებული იქნებოდა. მაგრამ სიძნელეც იმაშია, რომ ჩვენი ძეგლი პირია (და, შესაძლებელია, არც პირველი პირი) და, რაც მოივარია, ის ნაცლულევანია და, საერთოდ, საქმიოდ დამახინჯებული, ხოლო სწორედ ის ადგილი, სადაც მოსალოდნელი იყო ტაძრის შენებაზედ ლაპარაკი (თუ ისეთი რამ კი იყო), XII ს-ის პირს აქვთ, და ხსენებულ ადგილს ჩვენ ვიცნობთ მთლიოდ XVII-XVIII ს-ის პირის მიხედვით, რომელსაც შეცომა-დამახინჯების გზით კვლავ ახალი ნაბიჯები წარუდგის წინ.

ამის გამო იმით დასაბუთება რისამე, თუ რა არ არის ასეთ ძეგლში, მციარი ხერხია. აქ ტექსტი თეთო მოითხოვს აღდგენა-და-საბუთებას. ამრიგად, ჩვენ იძულებული ეხდებით განვიხილოთ სვეტი-ცხოვლის აშენების საკითხი. მაგრამ არა მთლიანად.—ჩვენი მიზნისათვის საქმია ხსენებული საკითხის იმ ნაწილის განხილვა, რომელიც მელქისედევ კ-ზის სახელთან არის დაკავშირებული.

ს. კაკაბაძე ც დასახელებულ წერილში<sup>1</sup> სვეტი-ცხოვლის ამ პერიოდს ექცება.

ჩვენც ვისარგებლებთ პ-ლი მცვლევარის ნაკვლევით და მის ზოგიერთ დებულება-დასაბუთებათა კვალდა-ევალ განხილვით შევეკონებით გამოივარევით ჩვენი დამოყიდებულება ხსენებული საკითხისამდი, რაც საშუალებას მოგვცემს ჩვენი ძეგლის შესატერისი ადგილი ასე თუ ისე დავადგინოთ.

სვეტი-ცხოვლის შენობის გეგმის შესახებ დ. გორდევე ის დაკვირვებაზე<sup>2</sup> დაყრდნობით ს. კაკაბაძე, აღნიშნავს რა ვახტან-

1) დროისა და ადგილის დახოვდეს მიზნით ჩვენ უსურადლებოდ ეს ცოვებთ ხსენებული წერილის იმ ნაწილს, რომელიც შეეხება სვეტი-ცხოვლის ავტორს მი-არიან მეფისა ან გამტან გურგასალის დროს და დაკვირვებულებით ვახტანგის ცოლაში მითითებით (გვიგრაფია, ჯანაშევლის გამოცემა, გვ. 86).

2) მოსახრება, რომ სვეტი-ცხოვლის მელქისედევის შენობაში არის.—უფრო ტერი შენობის ნაწილებიც, რომელებიც შეიძლება გამოიყოს ანალიზის შე მ




გისეული „დიდი სიონის“ გადაკეთებას, იყვლევს დროსა უფრო ჭრულა; ეს ცის მიერ და როდის უნდა შესრულებულიყოს ტაძრის შემსრულებელი ახლაც“ ამენება.

შევლევარის მოპავის ხსენებული ტაძრის ორი კედლის წარწერა<sup>1</sup> და ღასკენის: „ამ წარწერებიდან ირკვევა, რომ მცხვეთის ტაძრის აღმაშენებელი არის მე ლქისე დეკ კათალიკოზი, ხუროთმოძღვარი კიდევ არ საკის ძე“.

„ვინ არის ეხლა ეს მე ლქისე დეკ კათალიკოზი მცხვეთის აღმაშენებელი?“—ჰეითხულობს ს. კაკაბაძე და ეკეთებს „მცირე ექსკურსს“ X-XI ს-ნის ქართლის კათალიკოზთა სიის დასადგურად<sup>2</sup>. ასეთი ძიების შედევრად შევლევარი იმ დასკვნამდის მიღის, რომ აღწერიბით, მაგრამ ისინი მელქისედევის ხუროთმოძღვარის მიერ მოქცეული არიან შენიაბის საერთო მწერლივი“, უკვ კარგა ხანია გამოითხესლი იყო პროფ. გ. ჩუბინაშე შეი ღის მიერ, ასე რომ დ. გორგე დეკვ ს არსებითად აქ ეკუთხნის ცდა მოყვანილი მისახარების შემოწმება-დამტკიცებისა (იხ. „არ იღ ის“ 110, გვ. 1).

1) ეს წარწერებით: 1) „აღ-ნ ღ-რ ქ-ს მ-რ შ-ვ წ-ედ ქ-ქ-ზ-ზ ი ე- ე ე- ე“ კუთა გლეხისა | შ-ნ-სა მ-თ-ს | [ა] რ-ს ქ-თ-ა || ლ-ნ გ-ს ს-ლ-ს. 2) კ-ლ-მ-ო-ი-ს-ა ა-რ-ს ქ-ს | ძ-ა შ-ლ-ლ. უკანასკნელი წარწერის წაკეთხვა: აკელი მონისა არსა-ის ძისამ, შეურდვეთ“—საფარი არაა, ეს კელის პირელის შესაბებ. ს. კა-მაბაძე მას ჰყითხულობს: „ადიგუნ ლმერობან ქრისტეს ჩიერ შელქისედეკ ქართ-ლისა კათალიკოზი, ამით. აღაშენა (ხახი ჩენია) ეს წმიდას ეკლესია კულითა გლა-ხაკისა მონისა მათისა არსაკისძისათვი, ლმერობან განუსცენ ს-ლ-ს“. შევლევარი აკელ შემიწენას წარწერაში სწორი ფორმა არ არის, „ლმერობან განუსცენ“ (უნდა იყოს „განუსცენოს“)... შეიძლება აქ იყოს დამწერლობითი ხასიათის შეკორმა“. აქ მარტლაც შეკორმა, მაგრამ უნდა იყოს არა „უგანუსცენოს“, არამედ, „განუს-ცენენ“ (—გ-ს-ენ), ასე რომ წარწერაში მოცემულ გას-ს მხოლოდ ბოლო კი-დური წარი აკლია. შეიძლება: ვამოთქმა „აღ-შ-ნ-ა“ უნდა წაკოთხელ იქმნეს „აღ-შ-ნ-ა და არა „აღაშენა“. ამის საბუთია ის გარემოება, რომ ამ სიტყვით ასალი-წინადაღება იწყება და მის წინ წერტილია ნაგულისმმეური, ამ სიტყვის ასეთ თუ ისეთ წაკოთხას არსებითი ხასიათის კორექტივი შეცდლა შეიტანის წარწერის გავებაში. „აღაშენა“-ს პირობებში ტაძრის სხვა აღმშენებელი, გარდა შელქისიდეკ ქ-ხა, გამორიცხულია, „აღაშენა“-ს პირობებში კ. ზარითალია, მელქისედეკის აღ-შენებლობა გ. მორიცხულია არ არის და უკველად იგულისმმება, რომ კ-ხი მო-ნაწილეობს მასში, მაგრამ არც ის არის ვამორიცხული, რომ ტაძრის შენება მელ-ქისედეკის კათალიკოზად დაჯდომამდის დაწერით და მის დროს მხოლოდ და-სრულდა ის.

2) სამშენებლო, აქ არ შევეიძლია არსებითად განვითილოთ აეტორის მიერ წარმოდგენილი სქემა, შევნიშნავთ ხავადად, რომ ეს საკითხი უფრო ხალქელიან შესწავლას მოითხოვდა, ვიდრო ეს პ-ლ მელქისედეკის უკისრია. კერძოდ:—სტულიად გაუკეთებით, თუ რატომ „არ შეიძლება“ „დასახულებული ხაზში მოსხენებული მელ-ქისედეკი“ „იყოს 1020 და 1031 წლებში“ ცნობილი კათალიკოზი შელქისედეკი?<sup>4</sup> ან კიდევ, რა საბუთი გვაქვს ვინიშოთ, რომ „ეს სია (ავტორის მხედველობაში) აქვს შიომილის XIII ს-ში გადაწერილ ტაძრისში მოყვანილი სია ქ. კ-ხა) შეი-



ნიშნული საუკუნეების სიგრძეზე სამ კათალიკოსს ჰპოულობრივი უფლება ქისედეკის სახელით.

ერთი მათვანი, მისი აზრით, ჩანს 1093-1102 წ., მეორე — 1020-1031 წ., ხოლო მესამე... არის ის, რომელიც სეეტი-ცხოვლის კადლის წარწერაში მოიხსენიება...

ს. კაკაბაძის სააშისო საბუთებია: ... „XI ს-ნის დიდ ეკლესიათა აღმშენებლობის შესახებ ცნობები მატიანეში საქმაოდ არის დაცული. ბაგრატ III-ის შესახებ, მაგრა ნათევამია, რომ მან „აღმშენება საყდარი ბედიისა“, მანვე „აურათხა ეკლესია ქუთათისა“. ბაგრატ IV-ის დროს (1027—1072 წ.) საზოგადოდ ეკლესიანი „კერი იყითხებოდეს“, ხოლო დავით აღმ-ბლის დროს გელათის აშენებას მისი მემატიით საქმაოდ ვრცლად შოგვითხრობს. რომ დავით აღმაშენებლის დროს ადგილი ქქონდა სეეტი-ცხოვლის აშენებას, ამას მემატიით უსათუოდ აღნიშნავდა. აგრეთვე აუცილებლივ იქნებოდა ეს ფაქტი მატიანეში აღნიშნული, რომ მას ადგილი ქქონდა ბაგრატ III-ის და მისი შეილის გიორგი II დროს (როგორც ამას ქცედავთ ბედიის და ქუთაისის ტაძრების შესახებ). და რომ 1020-1031 წლებში მცხოვრებ მელქისედეკ კათალიკოსს არ ეკუთვნის სეეტი-ცხოვლის აშენება, ეს ცხადად ჩანს მის მიერ 1020 წელს მიცემული სიგლიდანაც“ (საინტ. კრებ. I, 101).

ვფიქრობთ, აქაც მეორარ ხერხს მიქმართავს ავტორი. ქ-ცას ცნობების დამოწმება (რა თქმა უნდა, სათანადო გაცხრილვა-შეჯერებით) ყოველთვის შეიძლება, მაგრამ მისი დუშმილის დამოწმება — მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ასეთ შემთხვევაში მცელევარმა ჯერ უნდა დაამტკიცოს, რომ ესა თუ ის მემატიანე განსაზღვრული ცნობის მოყვანის გვერდს ვერ აუქცივდა და მეორეც: რომ ჩენ ხელთ არსებული ტექსტი უნაკლულოა. ასეთ შრომას კი პ-ლი ავტორი თავის თავზე არ იღებს.

ძლება წარმოვედრენდეს სახელებს შემთხვევ მხოლოდ 1072-1073 წლებში მოხსენებულ გაძრიელ კათალიკოსისა?!

რატომ უნდა დაუწუო ბსტებული ტიპიონის გადამწერის კათალიკოსთა სია 1073 წლიდან, მაშინ როცა მეტეთა და დედაფალთა სიას X ს-ნის დამსჭერით იწყებდა? განა უფორ ბუნებრივი არა ეიგიქროთ, რომ კათალიკოსთა სია სკრინოულად სწორებ ბაგრატ III-ის დროიდან იწყება?..

სად ჰქოლისმობრივ ავტორი იაკობის ფამის წირვაში მოხსენებულ სეიმურ ქ-კ-ზს? რატომ ათავსებს საქონის ითვანე კათალიკოსს 1115 წელს, მაშინ როცა ჯერ კიდევ 1123 წელს ის მცხეთის სააქაო საკურის საკეთმაყროცელია, განმა, როცა „თარიღიები ნაჩვენებია მხოლოდ დაახლოებით“, საკალდებულო არ არის დადებით ცნობას გაერთიან ანგარიში?

მაგალითად: ჩვენ ვიცით, რომ დავით აღმაშენებელმა შესულ მცხოვრის მის დიდი ექლესია ააგო. რას გიორგის მკვლევარი: რატომ უშეალოდ დავითის მიერ ეკლესის აღმაშენებლობას არ იხსენიებს, რა უფლება გვაქვს ვამტეკილოთ, რომ ის „უსათუოდ აღნიშნავდა“ „სვეტი-ცხოვლის აშენებას, რომელიც კათალიკოზის (და არა მეფის) მიერ სწარმოებდა? <sup>1</sup>

აეტორის რომ თავისი ეს მოსახრება ლოგიკურის თანმიმდევრობით ბოლომდის გამოყენებით და რაღაც უცნაური მიზნების გამო XI საუკუნით არ შემოფარგლულიყო, ის ვალდებული იქნებოდა აღმოებინა: „რომ სვეტი-ცხოვლის აშენებას ადგილი ჰქონიდა X ს-ში, ეს ფაქტი აუცილებლივ იქნებოდა მატიანეში აღნიშნული“.

მართლაც და, „მატიანე ქართლისად“-ს აეტორი, აღნიშნავს რა ქუთაისისა და ბედის ეკლესიათა შენებლობას (ამას ს. კავაბაძე გვ. XI საუკუნისად სთვლის), სრულიად არ ივიწყებს კუნძილის აშენებას (ქ. ცხ. 229, \*452) გიორგი აფხაზთა მეფის დროს X ს-ის პირველ ნახევარში და მოქვის აშენებას (იქვე, 233 \*457) ლეონ აფხაზთა მეფის მიერ X ს-ის მეორე ნახევარში. და თუ კუნძილის აშენება კი აღნიშნა მემატიანემ, ს. კავაბაძის თვალსაზრისშედ რომ დაედგოთ, განა მცხეთის სვეტიცხოვლის შენებას არ აღნიშნავდა, რომ ამას ადგილი ჰქონიდა X საუკუნის პირველ ნახევარში? მაში როგორ და ამტეკებს აეტორი, რომ სვეტიცხოვლის აშენება X ს-ის პირველ ნახევარში მოხდაო (იხ. ქვემოთ)? ან კიდევ, როგორ „მატიანე ქართლისად“-ს აეტორი ლეონ აფხაზთა მეფის მიერ მოქვის ეკლესის აგებას გვამცნობს, რატომ არ აღნიშნავს ის ამავე მეფის დროს 964 წელს აგებულ კუმუროს შესანიშნავ ტაძარს?

საქმე ისაა, რომ ესა თუ ის „მემატიანე“ სრულიადაც არ სთვლიდა თავის თავს ვალდებულად კუელა, დღეს ჩეენოვის საინტერესო მოვლენა აღენიშნა. თითოეული მათვანი განსაზღვრული მიზნით სწერდა და სწორედ ეს მიზანი სწვერდა ამა თუ იმ ფაქტის მოხსენება-მოუხსენებლობის საკითხს. მკვლევარის ასეთი მარცხის სათავე, როგორც ეხედავთ, მეთოდოლოგიური ხასიათის შეცოოჩიაშია ჩამარხული.

რაც შეეხება მკვლევარის მიერ მემატიანის დამოწმებას, რომ ბაგრატ IV-ის დროს ეკლესიანი უერ იკითხვებოდეს“, აქ ეფიქრობთ, გაუკერძობაა. რის თქმა სურს ს. კაკაძეს? ნუ თუ მისი აზ-

1) მიუხედავად ამისა ჩვენ სრულიად ეკთანდმებით მკვლევარს, რომ სვეტიცხოვლის „აშენება“-ს დავით აღმაშენებლის დროს არა ჰქონია ადგილი, მაგრამ სამისო ჩეენი საბუთები, რა თქმა უნდა, სულ სხვა.

როთ ეს გამოთქმა იმას ჰნიშნავს, რომ ბაგრატ IV-ის დროზე საქართველოს თველოში ეყლესიათა მშენებლობა მცირე იყო? ასეთი ზედომისამართი და წინდაწინ მარტად განწირული მოსაზრება გვეძნელება მიეღწი-როთ მას...

მაში, რა მოსატანი იყო ხსენებული მოწმობა?..

შელქისელეკის ანდერძის (აწინდელი მისი სახით) დუშმილის დამოწმების მეთოდოლოგიური მცთარობა ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ.

ამგვარად, ს. კაკაბაძის ეს წიგვადი მოსაზრებები XI საუკუნეში სკეტი-ცხოვლის აშენების შეუძლებლობის შესახებ უარსაყოფა.

განხილული მოსაზრებებით წელმომაგრებული ს. კაკაბაძე ცდილობს კიდევ უფრო ცხად ყოს ის, რაც, მისი აზრით. „ცხადად ჩანს მელქისედეკ კ-ზის მიერ 1020 წელს მოცუმულ სიგლიდანაც“. ამ მიზნით ავტორი განიხილავს ხსენებული ძეგლის სათანადო ცნობებს.

მკვლევარი აკვირდება მელქისელეკის ანდერძში დაცულ ცნობებს აღმშენებლობის შესახებ და დაასკენის: „ამგვარად მელქისედეკ კ-კ კათალიკოზის XI ს-ის პირველ მეოთხედში მცხოვაში აუშენებია მხოლოდ „გარეთი ბეჭ“ და შესაძლებელია მასვე ეკუთვნოდეს სკეტი-ცხოვლის სახურავის შეკეთება“ (ხაისტ. კრებ. I, 104).

ვირ გაგვიგია, რად არის მკვლევარისათვის საეჭვო, რომ როგორც „სტოითა მოქმნა“ ისე „ზედა დაბურვა“ სწორედ სკეტი-ცხოვლის შექება და არა „გარეთი ბეჭ“-ს. „კონტექსტიდან“ მხოლოდ ასე ჩანს და სხვა გვარად გაგება არც შეიძლება. ამისდა მიხედვით ზემომოყვანილი დასკვნაც სათანადოდ უნდა შესწორდეს: მელქისედეკს მიეკუთვნება: 1) სკეტი-ცხოვლის დაბურვა (და არა „სახურავის შეკეთება“), მისი „სტოითა მოქმნა“ და „გარეთი ბეჭის“ აგება<sup>1</sup>.

ეხლა, მას შემდეგ რაც მელქისელეკის დაწერილის დროილი ტაძრის აშენების შესახებ შეკლევარმა ამ კათალიკოზის მიერ სკეტი-ცხოვლის აშენების უარსაყოფად დაიმოწმა, ამავე მიზნით ის ეხება ვარეთი ბეჭის ცნობილ წარწერას.

თავის დროზე თ. ერმლანი ამ წარწერაში სწორედ იმის ცნობას ჰერდავდა, რომ ამ ბეჭის აღმაშენებელი მელქისედეკ კ-ზი თვით სკეტი-ცხოვლის ტაძრის მაშენებელიც არის (ქრონ. I, 176).

აწინდელი სახით ეს წარწერა ასეთია:

1) გარდა ამისა მან „წმიდათა მოწამეთა სამარტვლისა შიგან შექმნა საულეავი“ და დადგა ქაკურთხველი<sup>4</sup>, მაგრამ ფოველივ უს უშუალოდ აღმშენებლას არ ეხება.



ქ' ადე შე შარ დაშეარებთდა მ-ფე წ-ნა ქ' ს შეტაშეულა-  
ქაზედე; ქართლასა კათალითზა რ-ნ მა მეორედ აღაშეს წ-ჭ-ჭ-ჭ-  
თა[დ]აკე... სოდასა შთასა<sup>1</sup>.

ამ წარწერას ს. კავაბაძე ასე პეიოთხულობს: „ქრისტე აღიდე  
შენ მიერ დამყარებული მეუცე ჩუენი ქრისტეს მიერ მელქისედეკ  
ქართლისა კათალითზი, რომელმან მეორედ აღაშენ წმიდისად კა-  
თოლიკე [ცეკლესისად ბერ სალოცკელიდ] სულისა მათისა“ (სიისტ-  
კრებ. I, 105). ასეთი წაკითხვა მთავარ ნაწილში ყოვლად მიღე-  
ბელი გვიჩვენება. საკითხი ეხება „წ-ჭ“ გამოთქმის წაკითხვას. უდა-  
კა, რომ პატივ ქვეშ მოცემული სიტყვა დასმულია სახელობით  
ბრუნვაში. წარმოდგენილი წაკითხვისას კი ის უცეკველად ნათესაო-  
ბით ბრუნვაშია მოქცეული, ასე რომ პატივ ქვეშ დასმული სახელო-  
ბითი ბრუნვის მანენებელი ა-ე აქ გაზედმეტებულია და თანმიმდევ-  
რობა მოითხოვდა წამკითხველს ეს „ზედმეტი“ ა-ე სრულიად იმოე-  
გდო. ორში ერთი: ან ეს ა-ე უნდა უარვყოთ, ან არა და წარმოდ-  
გენილი წაკითხვა მიუღებელია. მაგრამ ეს ასო ვერც პ-ლმა მკალე-  
ვარმა უარყო და, თუმცა საჭირო თანმიმდევრობის გამრუდების  
ხარჯზე, მაგრამ მაინც შეინახა.

დარჩა მეორე შესაძლებლობა: წ-ჭ-ში სახელობითი ბრუნვა  
უნდა იქმნეს ნაგულისხმევი და მაშასადამე აღდგენაც ამას უნდა შე-  
უთანხმდეს.

ეხლა წარწერის აღდგენილი ნაწილის შესახებ.

პირეველ ყოვლისა არ შეგვიძლია ერთი რამ არ უსაყველუროთ  
პ-ლ მკლევარს:

რატომ არ აღნიშვნას ის, თუ რა უფლების ძალით ურთავს  
ნაკლულევან ადგილას მოყვანილ სამ სიტყვას და არა ერთს ან,  
ვთქვათ, ორს ან ოთხს გინა მეტს? მას თითქო საშუალება ჰქონდა „გა-  
მოერკეთა დ. გორდევვისა და მ. კალაშინი კოვის დახმარებით  
(შიო ხომ მისი იქ ყოფნის დროს „გაზომეს და დეტალურად შეის-  
წავლეს“ ეს ბერე), თუ რამდენი აქლია იმ სვეტს, რომელსაც წარწერა  
ჩამოსდევს. ამის აღნიშვნით და მისდამი სათანადო ანგარიშის გაწე-  
ვით მკლევარი თავის აღნადევს (სხვა დანარჩენ მისაღებ პირო-  
ბებში) უფრო მეტ დამაჯერებელ იქრს მისცემდა. თორემ რა დამა-  
ჯერებლობითი უპირატესობა შეიძლება ჰქონდეს ასეთ აღდგენის (სამ-

<sup>1</sup>) ეს წარწერა იწყება ფასადის შებლის ჩრდილოეთი კუთხიდან, უცარტვა  
მოელი შეცბლი, ჩამოსდეს სამრეოთის სვეტს, წყდება აქ ამ სვეტის ქვების გაც-  
რეცის გამო და სრულდება ჩრდილოეთის სვეტზე, სადაც მოთავსებულა წარწერის  
უკანასკნელი ორი სიტყვა.

სიტყვიანს) შედარებით თ. ეორდანიას აღდგენასთან, ურმილულად—არსებული ხარევზის შეცემას ერთი სიტყვით პფიქტობდა ჩანაწერის ერთდა—არავითარი.

ეხლა ვიყითხოთ: შეიძლება თუ არა „წ-ა კათოლიკე“-ს არსებობის პირობებში „ეკლესიისად ბეტ“-ს აღდგენა (მესამე აღნადგენი სიტყვა: „სალოცელად“ ან სხვა ამის მსგავსი, უძველია, იყო: ამის მოითხოვს გადარჩენილი: „სოლისა მათისა“)? მაგრამ ჯერ ვიყითხოთ: შესაძლებელია თუ არა ძველ ქართულში ფორმა: „ეკლესიისად ბეტ?“ —შეუძლებელია.

ძველ ქართულში არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვით მიღებული განმარტება, თუ ის წინ უსწრებს განმარტებულ სიტყვას, უცლელად რჩება ამ ბრუნვაში მიუხედავად იმისა, თუ რა რიცხვში და ბრუნვაში დაისმის რის მიერ განმარტებული და მისი მომდევნო სიტყვა<sup>1)</sup>, ხოლო თუ ასეთ განმარტებას წინუსწრებს მის მიერ განმარტებული, მაშინ ასეთი განმარტება ზედშესრულივით შეეთანხმება ხოლმე განმარტებულს ბრუნვასა და რიცხვში. ასე რომ პ-ლ შეცემარს უნდა აღდგინა: ეკლესიისა ბეტ. ასეთ პირობებში კი „წ-ა“-ს წაკითხვა „წმიდისად“-თ ყოვლად დაუშეცებელია, რათგან ეს სიტყვა შეეთანხმებულია „ეკლესია“-სთან, როგორც რიცხვში, ისე ბრუნვაში. ასე რომ მკლევარს უნდა მიეღო: „წმიდისა ეკლესიისა ბეტ“. ტექსტი კი იძლევა ფორმას: წ-ა<sup>2)</sup>. ცხადია: აღდგენა მცთარია. უნდა: წ-მიდა. ასევე შეცოორი იქნებოდა: წმიდა კათოლიკე ეკლესიისა ბეტ.

ამგვარად გამოიტქმა: „წმიდა კათოლიკე“ ვერ ითმენს „ეკლესიისა“-ს აღდგენას. მაგრამ შეუძლებელია აგრეთვე: „წმიდა კათოლიკე“ ბეტ; „კათოლიკე“ შეიძლება მოოლოდ ეკლესია, ტაძარი, საყდარი. ასე რომ კელა არჩევანის წინაშე ვდგავართ: ან გამოიტქმა „წ-ა“ შეცოორია და უნდა ყოფილიყო „წისა“, ან არა და ნაკლულევან აღილას ეწერა: „ეკლესია.. სალოცელად“ და თ. ეორდა ა-

1) ასეთი ჩანს წესი. ერთადერთი ამის საწინააღმდევო მაგალითი თითქო ნიკოლწმინდის ცეკვისის ერთი წარწერაა (იბ. გ. ბოჭორი იძის „არაპის ისტორიული ძეგლები“: საქ. მცხ. მოამბე ს. 5, გვ. 195). მაგრამ ეს წარწერა თვით შესამოწმებულ-შესასწავლია და მაზევ დაყრდნობა ძეგლის აღდგენისას შეუძლებელია: მას კარგად მდევრება კუველა სხვა შემთხვევები.

2) ძ. ქართულში პატივთა სმარების წესის მიხედვითაც კა „წ-ა“-ს გამსან „წმიდისად“-თ უწევულ და უმართებულო ჩანს. შერ. ტექსტის 164—წლ-სა კათოლიკე ეკლესიასა; 132—წისა კათოლიკე ეკლესიასა; 125—წ-ა კათოლიკე ეკლესიას; 81—წ-დისა ამის კათოლიკე ეკლესიასან; 81—წ-ა (=წმიდასა) კათოლიკე ეკლესიას.



ნიას წაყითხვა არსებოთად სწორია. მაგრამ ჩეც არა გვაქმნას ჩეც არა არსებული გამოთქმა „წ-ა“ შეცომად ვივარიულოთ.

მეორე მხრით არც თ. ეორდა ნიას წაყითხვა სრული და უდაცო. მართალია, ის გრამატიკული ხასიათის სიმნელეს არა ჰქონდება, სამაგიეროდ შინაარსით არის საეჭვო; წარწერა ამოჭრილია გარეთი ბჭის ფასაზე, მოიხსენიებს კათოლიკი საეჭვოსის [საეჭვოსის] აშენებას კ-ზის მიერ და არას გვაქმნობს თვით ბჭის აშენებაზე, რომელიც ყოველ ეჭვს გარეშეა, სწორედ ამ მელქისედეკ კ-ზის აშენებულია. ამიტომ, როგორც გრამატიკული ისე შინაარსითი სიმნელენი რომ დამლეული იყოს, ამ ძეგლის ჩენი წაყითხვა იქნება: „ქრისტე აღიდე შენ მიერ დამყარებოლი მეუფე ჩენი ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკი, რომელმან მეორედ აღაშენა წმიდამ კათოლიკე ქვემ-სიად და ბჭიც ესე სალოცველად სოლისა მათისა“.

აქ „შესაძლებელია“ სიტყვა -ეკლესიად“ არც ყოფილიყოს, მაგრამ ეს წანაკითხის შინაარს ვერ შესცვლიდა: კათოლიკე თავის თავად ჰელლისტობს უეკლესიას“. მაშინ ეს ადგილი იქნებოდა: რომელმან მეორედ აღაშენა წმიდამ კათოლიკე [და ბჭიც სალოცველად] სოლისა მათისა“.

ამრიგად, ჩენი წაყითხვით გამოდის, რომ გარეთი ბჭის აღმაშენებული კ-ზი მელქისედეკ სვეტიცხოვლის „მეორედ მაშენებელიც“ ყოფილა.

გვაცეთ ქვევით პ-ლი მელქისედის საბუთიანობას.

„რომ გარეთი ბჭის და ტაძრის აღმაშენებელი მელქისედეკი სხვადასხვა პირნი არიან, ეს ჩანს წარწერითა პალეოგრაფიული თვის სებებიდან. სევტი-ცხოვლის წარწერას, მაგ., ახასიათებს, შედარებით ბჭის წარწერასთან, გარდამავალი სახის ასომთავრული კ მოკლე ფეხით და მეორე შემთხვევაში გრძელი ფეხითაც. მოკლე ფეხიანი ასომთავრული კ უფრო ძეველი ხანის დამხასათებლად უნდა ჩიოთვალოს (საისტ. კრებ. I, 105). ... ზემოდ მოყვანილ მაგალითის და საერთო შთაბეჭდილების მიხედვით სევტი-ცხოვლის წარწერანი უფრო ძეველი დროისად სჩანან...“ (იქვე). ასეთია ორი საბუთი ს. კაკაბაძისა.

ასეთი „საერთო შთაბეჭდილების“ მიღების უწინარეს უსაბუბლო არ იქნებოდა მეცნიერის ანგარიში გაეწია (და თუ კი მხედველობაში მიიღო, ალენიშვილი) იმ გარემოებისათვის, თუ სად იწერებოდა ესა თუ ის წარწერა. მას კარგად მოეხსენება, რომ ასოთა მო-

<sup>1)</sup> ასეთი „შესაძლებელია“ ჩენი იძულებული ერთ ერთაუდოთ, რადგან საშუალება არა გვერდა გამოგვერევია ხარევნებ მოსათავსებელი ასოების დაახლოებითი რაოდენობა.



ხაზულობა, მათი ესა თუ ის სახე დიდად არის დამოკიდებული არის საგან, თუ სად, როდის, ვის მიერ ჩატედ და როგორ ჰქონის გარების იწერება ლაპიდარული ძეგლი. ამის საუკუთხო ილუსტრაცია სწორედ სერიუმის სამხრეთი კედლის წარწერაა, სადაც იმ დროისათვის სრულიად უწევულო ღიგატურები (თხზულები) არის წარმოდგნილი, რაც გამოწვეულია საწერი შესალის (დისკოები ქვებზედ) თავისებურობით.

რაც შეეხება „მოკლეფებიან ასომთაერულ „კ“-ს, აქ აეტორმა ისიც კი არ აღნიშნა, თუ როგორია ეს ასო დანარჩენ თოხ შემთხვევაში: ეს კ-ანი ტაძრის ამ წარწერებში ექვსჯერ არის წარმოდგენილი. საქმე ისაა, რომ იმ ერთადერთ შემთხვევაში ყველა ექვსიდან, სადაც კ-ანი მართლაც შედარებით მოკლე ფეხითაა წარმოდგენილი, ეს ასო განსხვავებულია არა მარტო ამ ნიშნით, არამედ შეუტანის შედარებითი კუთხოვანობითაც. გარდა ამისა მას არც ის მოკლე ფეხი ჩამოუდის სწორად, ასე რომ აქ ასოს ამომქრელის ხელმარცხთან უფრო შეიძლება გვქონდეს საქმე, ვიდრე დამწერლობის დამახასიათებლობასთან. ყველა სხვა დანარჩენი ასოები და მათ შორის კ-ანიც (ჩ შემთხვევაში) არაფერ განსხვავებულს, შედარებით ბჭის წარწერასთან, არ წარმოიადგენნ. ასე რომ „წარწერათა პალეოგრაფიული თეისებები“, ვფიქრობთ, ს. კაკაბაძის დებულებას შეტად მცირედ ქშველიან.

გარეთი ბჭის აღმაშენებელი მელქისედეკის მიერ სერიუმის ტაძრის აშენების უარყოფის შემდეგ ს. კაკაბაძე ეძებს დროს, სადაც უნდა მოათავსოს, როგორც სერიუმის აშენება, ისე მისი აღმაშენებელი მელქისედეკის კათალიკოზობა.

მისი აზრით: „საფიქტებელია, რომ სერიუმი-უხველის ტაძრის ხელ-ახლად აგება ახალი გეგმით ტაკავშირებული ყოფილიყო წინათარსებული შენობის მიმართ რაიმე კატასტროფიული ხასიათის მოყლენასთან“ (იქვე). მისთვის აგრეთვე „ცნობილია“, რომ „X ს-ნის პირველ ნახევარში ადგილი ჭრინდა არაბების მიერ მცხეთის და მცხეთის პირდაპირ ჯვარი-პატიოსანის ტაძრის გადაწვას“. საამისოდ ის ქ-ცას იმოწმებს. უწნაურია, რომ აფტორი იმოწმებს მ. ბროსეს მიერ გამოცემულ ქართლის ცხოვრების სათანადო ადგილს, მაგრამ ისე რომ ტექსტს თვისი გემოზე ასწორებს, ამას არ აღნიშნავს და ასეთ ციტატას ბრჭყალებში სტოკებს.

ხსენებული ადგილი ბროსეს გამოცემით (გვ. 197): „ამასვე ეამსა მოვიდეს საკუნოზნი“, რომელთა უკმობენ [Tvar. უკმობდეს] საჯობით, და მოტყველეს კახეთი, და დაწვეს ჯვარი მცხეთა, და შე-



იქცეს, და წარვიდეს, და წარიტანეს თანა ჯვარი პატიოსახზე და გადასა მოვიდეს სარეინოზნი, რომელთა უკიობენ საჯობით და მოტ-  
უცვენეს კახეთი და დაწევეს ჯვარი, მცხეთა და შეიქცეს და წარვი-  
დეს და წარიტანეს თანა ჯუარი პატიოსანი დაჭრილი" (ხაისტ. კრებ.  
I, 105). როგორც ვხედავთ აქ დედანთან შედარებით შეცვლილია, რო-  
გორც სიტყვათა მართლწერა („მოტუცვენეს“, ჯუარი), ისე სასევნი  
ნიშნებიც. და რომ ყველა ეს არც ისე „უწყინარი“ ცვლილებაა, ამას  
აქცე დავინახავთ.

ბროსეს სრულიად მართებულად დაუცავს მეცნიერული სი-  
ფრთხილე და დედნისეული მართლწერა: „დაწევეს ჯვარი მცხეთა  
და შეიქცეს“ (ხაზი ჩვენია) ხელუხლებელი დაუტოვებია. და მართ-  
ლაც, იმ დროს, როცა სხვა შემთხვევებში კავშირ „და“-ს უხეად ხმა-  
რობს მემატიანე, რაღა მაინცადამინც „ჯვარი მცხეთა“-ს დაწერი-  
სას შეიძყრო ის უადგილო ლაკონურობამ? (და ეს ასეა ქუას ყველა  
არსებულ ხელნაწერებში).

ს. კაკაბაძე ბროსეს სამართლიანი სიფრთხილე უსამარ-  
თლად დაარღვია: მისი გამოცემული ტექსტი დააციტირა, „ჯვარი  
მცხეთა“-ს შორის არ არსებული მძიმე (,) დასხა და მიიღო: რომ  
სარეინოზებმა „მას უამსა“ ჯვარიც (მცხეთის) დაწევეს და მცხეთაც.

„ჯვარი მცხეთა“-ს შორის არა თუ მცვლევარის მძიმე (,),  
თვით ტექსტის მიერაც კავშირი „და“ რომ ყოველიყო ჭარბოლებუ-  
ნილი, ამ შემთხვევაშიაც კი ს. კაკაბაძის გაგება მისაღები ვერ იქ-  
ნებოდა, რადგან უპირველეს ყოვლისა „მცხეთის“ დაწევა სრულიად  
არ ჰკულისხმობს სკეტი-ცხოვლის ტაძრის დაწევას. მაგრამ ასე ვერც  
იტყოდა მემატიანე. „დაწევეს ჯუარი და მცხეთა“ უსრული და გაუ-  
გაუგებარი გამოთქმა იქნებოდა. თანამედროვე მეითხველს არ ეცო-  
დინებოდა, თუ რომელი „ჯვარი“ დაწევეს სარეინოზთ: ბოლნისის,  
ატენის, მანგლისის, მცხეთის, თხოთის, უჯარმოსი თუ სხვა. ეს დღე-  
საა, როცა „ჯვარი“ მცხეთის ჯვარის საკუთარ სახელად იქცა, თო-  
რემ ძეველად ასე როდი იყო. „ჯუარი“ უძველეს დროს მრავალი იყო,  
ამიტომაც თითოეულ შათვანს ნიშანდობლივ ერთვოდა ის საგვა-  
გრაფიო სახელი, სადაც ეს „ჯუარი“ იყო.

ასეთი ორნაწილედი სახელი შერჩა მათ შემდეგ დროებშიაც.  
კერძოდ „მცხეთის ჯვარი“-ს („ჯვარი მცხეთას“) სახელი საბოლოოდ  
დაუკავშირდა ჩეენში ნინოს მიერ ქართლის მოთხრობას,  
სადაც ამ მოთხრობის დამწერმა სკადა უძველესი წარმართული სა-  
ლოცვებისათვის ქრისტიანული დასაბამის გამონახვა.



მოთხოვობის შიხედვით „მუნ ალემართა ჯვარი იგი ღოდებოფაშადა  
ლაპარაკია იმ ჯვარშე, რომელიც „თხოთისა“ და „უჯარმიშვილებისაშვილებისა  
სავან განსასხვავებლად „ჯვარი მცხეთისა“-დ იწოდებოდა<sup>1</sup>.

ეს იყო, ასე ეთქვათ, ქრისტიანული ეტიმოლოგია ერთ-ერთი  
უძველესი სალოცავის სახელისა <sup>2</sup>: ადგილი, სადაც „მცხეთის ჯვარი“  
აღმართეს, ამ სახელით იწოდა, ესევე სახელი („მცხეთის ჯვარი“)  
უნგრებრივად გადავიდა შემდეგ თვით იმ ტაძარზე, სადაც ეს ჯვარი  
ბყო დაცული <sup>3</sup>. ასე რომ, თუ ვინშეს სურდა ძეველად გადმოეცა ცნო-  
ნა ამ „ჯვარის“ შესახებ, მას აუცილებლად ამ სახელის ეს განმარ-  
გტებითი ნაწილიც არ უნდა დაცვიშვებოდა. წინააღმდეგ შემოხევები  
მას ვერავინ გავგებდა. ამიტომ ჩენი მემატიანის „ჯვარი მცხეთა“-ში  
შეუძლებელია, ვფიქრობთ, სხვა ჩაიმე ვიგულისმოთ გარდა მხოლოდ  
• მცხეთის ჯვარისა.

ტექსტს აქ ს.-ანი აკლია და უნდა ყოფილიყო: ... „დაწუს ჯუა-  
რი მცხეთას“ (შდრ. „ალწერილი... აღმართებისათ“ პტ-იოსნი და  
ცხ-კლმყოფლისა ჯი-სა მცხეთას“, ე. თაყაიშვილი Օცნება... 787).  
შესაძლებელი იყო „მცხეთა“-ში აქ „მცხეთისად“-ს გადამიხინჯება გვი-  
ძია, მაგრამ პირველი შესაძლებლობა უფრო მისალებად გვეწვენება.

ამ რიგად ს. კაკაბაძის მძიმე (,) აქ მიუღებელია. სწავლების რა  
შუაზედ ერთ ცნებას, ის ვერც მეორეს ჰქმნის, ხოლო პირველს კი  
გაუკებარს ჰხდის: მისი წაეითხვით არც მცხეთის ტაძარი ჩამ-  
წეარი და არც მცხეთის ჯვარი.

ჩენი დასკვნაა: „მას ეამსა“ (ს. კაკაბაძით 920-925 წლებ-  
ში) სააკენოსთ მცხეთა (და მით უფრო სევტი-ცხოველის ტაძარი) არ  
დაუწვევთ. მათ „მოტავენს კახეთი, და დაწვეს ჯვარი მცხეთა[ს],  
და შეიქცეს“... ეს იყო „კახეთის“ მოტავე და, როგორც ჩანს, ის  
ქართლს არ შეჰშებია.

<sup>1)</sup> ქ. ე. ბროსეს გამოც. გვ. შ. 96, 97: „შატერდის კრებული“ გვ. 488 და  
ქ. ქართლის მოქცევის კულტური კარიანტი ე. თაკაბაშვილი ს აღწერილო-  
ბით. Օცნ. 787.

<sup>2)</sup> რომ მას უძველეს დროსაც „ჯვარი მცხეთისა“ ერქვა, ეს ჩამს ეჭსტათე  
მცხეთელის ჩატრუილობიდან: მცხეთიდან წამოსული ფლართი, მისი სახლეულონი და  
მცველები „კოთარ წიაღებეს კელად და მიიწინეს წინაშე ჯუარისა მცხეთისასა“  
და სხვ. (იხ. ხატ. სამოთხე, 316).

<sup>3)</sup> როგორც ჩენი, ისე ქართლის მოქცევის კონცეციათა ისტორიულ მისა-  
ლებლობა-მიუღებლობის საკითხს ჩენი ამოცანისათვის, რა თქმა უნდა, მინშენე-  
ლობა არა აქვთ: იყო რაღალურად ასეთი რამ (ან მისი მიგავს) თუ არა, —სულ-  
გრათა: თუ იყო, მაშინ ამის შემდეგ სწოდებია ამ ადგილს „მცხეთის ჯვარი“, თუ  
არა, მაშინ ძველად არსებული სახელის („მცხეთის ჯვარი“) ეტიმოლოგიის ცდას-  
თან გვაძეს სამშე.



ამ „ქატასტროფულ ხასიათის მოვლენას“ სკეტი-ცხოვდორუ წულად ნად არსებობის შენობის მიმართ“ ს. კაკაბაძე 920-925 წლებში მიმდინარე რაუდიას. ამ ცნობაში „მოხსენებული საჯი“, მისი აზრით, „შეიძლება დაკავშირებულ იქნას ასოლიკის მიერ აღნიშნულ „უწმინდერ საჯთან“, რომელიც იყო იუსტი აბუსაჯის ძე“ (საისტ. კრ. I, 106).

თავისი მოსაზრების შესაბამის გრძელლად მცველევარი მიუთითებს მეოთხეულს ასოლიკისა, მოსე კალანკატუელისა, იბნ ალ ასირის და „მარიანე ქართლისაც“-ს ცნობებზე.

იბნ ალ ასირით რუზიკები ბარდავში მოვიდენ 943-944 წელს; მოსე კალანკატუელით რუზიკების მოსულის უწინარეს ბარდავი ეპირათ დეილემიტა (ჩელემზენებ) ტომის, რომელთა მეთაური იყო სალარი. „სალართა“ მიერ ბარდავისა და აღარბაღა-განის დაპყრიმა კი „მატიანე ქართლისაც“-ს ვეტორს მოთხრობილ აქვს ფადლას ქორეპისკოპოზად დაჯდომისა, „საჯთა“ მოსლეიისა და დინარ დედოფლის მიერ ჰერეთის მწვალებლობიდან მოქცევის მოთხრობის შემდეგ.

„მაშასადამე“, დაასკვნის მცველევარი, „მცხეთის და ჯვარის დაწვა საჯის მიერ მომხდარი 943 წელზე უწინარეს“. და განვირობის: „ამავე დროს ეს ამბავი მოხდა ფადლას ქორიკოზად გახდომის ახლო ხანებში. გიორგი ის მეფობის დროს კი ფადლის შემდეგ ქორიკოზად დაჯდა კვირიკე, რომელსაც 957 წ., როდესაც ვიორგი I გარდაიცალა, სასიძო შეიღი ყავდა. ფადლას ქორიკოზად დაჯდომას ამიტომ ადგილი უნდა ჰქონდა გიორგი I-ის მეფობის პირეულ ნახევარში. ამისთანავე სომხეთიდანაც არაბები განდევნა სუმბატის შეილმა შეუკაშობრა (გრდ. 929), რომლის მემკვიდრე აბასი (929-953 წ.) უკვე მშეიღობიანად მართავდა თავის ქვეყანას. ამიტომ ყველა ამ მოსაზრებების გამო საჯის კახეთში შემოსევა, რასაც შედეგად ქეონდა მცხეთის და ჯვარის დაწვა, უნდა მოშედარიყო მე-920 წლებში, დაახლოვებით 925 წ. ახლოს“ (საისტ. კრ. I, 107).

ს. კაკაბაძე უკველად მართალია, როცა „საჯთა“ მიერ კახეთის მოტყველეას 914-944 წლებს შორის ეძებს. ხოლო რაც შეეხება მის მიერ გაწეულ უფრო დაწერილებით ქრონოლოგიურ ძიების, არა გვვინია თვით პ-ლ ვეტორსაც აქმაყოფილებდეს ის.

ჯერ ერთი, რატომ შეიძლება „სარკინოზი, რომელთა უკმობდეს საჯობით“, „დაკავშირებულ იქმნას ასოლიკის მიერ აღნიშნულ „უწმინდერ საჯთან?“ „მატიანე ქართლისაც“-ს (თუ მისი წყაროს) ვეტორმა კარგად იცის იმ „საჯის“ სახელი, რომელსაც ს. კა-

კაბაძე პეტროსმობს (Бюллентень КИАН, № 1-3, стр. 7), რომ მემატიანეს ეს აბულკასიმი პყოლოდა სახეში, ის კრისტიანული ფიქრებითა, დაასახელებდა კიდევ, როგორც სწავლის ამას 908-914 წლის ამბების მოთხოვობის დროს. „საჯთა“ ბატონობა სპარსეთში აბულ კასიმ იუსუფს არც დაუწყიყი და არც დაუსრულებია. მას წინ უსწრებდა აფშინი აბუსაჯის ძე, უფროსი მას აბულ კასიმისა. ხოლო მის შემდეგ (გარდ. 927) იყო აბულ მოზაფ ფირ ფათში, ძე აფშინისა (გარდ. 930) და სხვა „მემკვიდრების“ „საჯის“ სახლისა (Леопольд, გვ. 10).

ზემოთქმულის გათვალისწინებით ჩვენ უფრო მეტი უფლება გვაქვს, ცვიქერობთ, კახეთის მომრბევი „საჯის“ ამ სახლის ერთ-ერთ ნაკლებად განთქმულ ნაგვიანეს წევრში ვეძიოთ, ვიდრე იგრე მწვავიდ დაუცილებარ აბულ კასიმში.

აგრეთვე მიუღებელი გვეჩენება პ-ლი ავტორის წინამძღვარი, რომ 957 წელს ფადლას მემკვიდრე კვირიკეს „სასიძო შეილი ყავდა“, „ფადლას ქორიკოზად დაჯდომას ამიტომ ადგილი უნდა ჰქონოდა გიორგი I მეფობის პირველ ნახევარში“. არა თუ შეილიშვილს, შეილის პასაკიც კი მამის მიერ ტახტის დაჭერის ქრონილოგიისათვის ყოვლად ირაციონალი რიცხვია: მასში იმდენია „შემთხვევითი“, რამდენიც წელიწადი.

მოთხოვობის თანმიმდევრობაზე ქრონოლოგიის აგება ჩვენ შემთხვევაში, ვვონებთ, მისალებია. და ეს იმდენად, რამდენადაც სხვადასხვა არა ერთი მეორისავან ტარა სახერთო წყაროსავან დამოკიდებული მემატიანენი თანხმობით იცავენ ასეთ თანმიმდევრობას. მაგრამ იმისაგან, რომ, შესაძლებელია, ჯერ კახეთის მოტუვენეა მოხდა სარკონოზთაგან, მეტობე „სალართა“ გაბატონება ბარდავესა და აღარბადავანში, და შემდევ კიდევ რუსიკთა მიერ ბარდავის აღება 944 წელს, ეს წყობა იმის მეტს მინც არას გვეუბნება, რომ კახეთის მორბევა მოხდა უშინარეს, „სალართა“ მიერ ბარდავის დაპყრობისა, რაც თავის მხრით მოხდა უშინარეს 944 წლისა. სხვა უფრო დაახლოებითს ქრონოლოგიის აქიდან ჩვენ ვერ მივიღებთ.

სომხეთის შესახები აზების მოშევრულიებისას ს. კაკაბაძე სრულიად უყურადღებოდ სტროებს თ. არწრუნის ცნობებს. ის კი როგორც ცნობილია, თანამედროვედ ითვლება 920-940 წლების ამბებისა, რაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსაღ მშდის მის ცნობებს.

მაგალ., ს. კაკაბაძით სომხეთში აბას სუმბატის ძის მეფობის დროს თარეშს აღდგილი არ ჰქონია. თ. არწრუნით კი ელიაქართველოს მუხეფშის მოამბე, VI.



სინტერესობა, რომ პროსე კახეთის აოზრებას „საჯის“ მიერ 938 წ. ახლო ხანით ათარიღებს<sup>1</sup>. ამიერ წელს პეტრე მეფის გაქორიცონებას (საქ. ისტ. I, ლოლობერიძის თარგმ. 122).

ამრიგად, ს. კაკაბაძის თარიღი 920-925 წ. თავისითავედ მეტად სათურა, ხოლო მის მიერ ამ თარიღის სასარგებლოდ მოყვანილი სახელდახველო საბუთები უსაფუძლოა.

სვეტიცხოვლის ტაძრის წარწერებში მეფის მოუხსენებლობა კიდევ ერთი ახალი პიპოთების შექმნის საბაბას აძლევს მკვლევას.

მისი აზრით „ეს გარემოება (მეფის მოუხსენებლობა) უნდა აიხსნებოდეს არა მარტო იმით, რომ ტაძრის აშენებას აწარმოებდა თეთი საკათალოებული ეკლესია, არამედ იმ დროინდელი ქართლის და აფხაზეთის პოლიტიკური მდგრამარეობითაც“ (საისტ. ქრებ. 107) და მკვლევარი აღნიშნავს გიორგი I-სა და მის ძმა ბაგრატის შორის ხანგრძლივ ბრძოლას ტახტისათვის, რომელიც 931 წელს თითქო ბაგრატის გამეფებითაც კი იღნიშნული და დაისკვნის: „ასეთ პირობებში გასაგები ხდება, რომ სვეტი-ცხოვლის აშენების თაოსნობა თვით უკლესია უნდა ეკისრა და საქმე შესსრულებია კიდევ“ (იქვე).

ზომეოლია იქ lapsus'თან გვაქვს საქმე. აეტორს, საფიქრებელია, სურდა ეთქვა: სვეტიცხოვლის წარწერებში მეფის მოუხსენებლობა აიხსნება იმით, რომ ტაძრის აშენება მოოლოდ საკათალოებულის უწინობებია და მედეს არავითარი მონაწილეობა ამ საქმეში არ მიუღია, ხოლო ეს უკანასკნელი გარემოება აიხსნება იმ დროინდელი ქართლის და აფხაზეთის პოლიტიკური მდგრამარეობით..

არც ეს პიპოთები ჩანს მისაღები. ჯერ ერთი, სიიდან იცის პ-ლმა მკვლევარმა, რომ სვეტიცხოვლის წარწერებმა მოლიანად მოაღწიეს ჩეენ დრომდის? <sup>2</sup> მეორე, განა ჩეენ შესავლილ-გარეული გვაქვს ქართლის ქ-ზისა და აფხაზთა მეუების ურთიერთობა, როცა ვავალებთ უკანასკნელთ უდისელად ითაოსნონ სვეტიცხოვლის ტაძრის აღმშნებლობა?

ს. კაკაბაძე მიცის, რომ 951 წელს ქ. ქ-ზი არის მიქელ ტაძრის აშენებას მისი აზრით 20 წელი მოუნდებოდა. ასე აღმოჩინა მან მის მიერვე აღმოჩენილი მელქისედეკისათვის ქ-ზობის წლები—925-945.

<sup>1)</sup> ბროსეც ს. გაგაბაძის მისგავსად პერიოდს, რომ არაბებმა მცხეთის ჯვარიც დაწევს და მცხეთაც [ტაძრი].

<sup>2)</sup> ამით ჩეენ იმის თქმა არ ჩესურის, რომ მეფის მოსაფერება მანიქუდამარც მოსალოდნელი იყო. წინააღმდეგ, ეფიქრობთ, რომ ასეთი რამ არც უნდა უმულიყო, თარგმ. XIII ს-ის საეჭ. მოლვაწეობი—ის. ქვემოთ—ამის აღნიშვნებს არ დააყოვნებდენ... ჩეენი კითხვა აქ მშოლოდ მეთოდოლოგიურ მიხამს ისახავს.

